



შირაკი

SHIRAKI

გამოცემის 85-ე წელი

№31 (10.038)

27 აპრილი — 3 მაისი 2022

გამოცემის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

ფასი: 60 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა

საუკუნის პროექტი უკვე რეალობაა

დედოფლისწყაროში ზაფხული უწყლობის სეზონთან ასოცირდება. სიტყვა „წყარო“ მხოლოდ მუნიციპალიტეტის ტოპონიმს შემორჩა. მოსახლეობა დროს წყლის მოლოდინში ატარებს, რომლის მოსვლასაც ხან ორი, ხან-სამი დღე სჭირდება. დედოფლისწყაროელები მათთვის მიუღებელი გრაფიკის გამო წყველა-კრულვიან მოკითხვას უთვლიან წყალმომარაგების კომპანიას. კომპანიის თანამშრომლები მუდმივად თავის მართლების რეჟიმში და იმის მოწოდებაში არიან, რომ მოსახლეობამ წყალი ეკონომიურად, მხოლოდ სასმელი დანიშნულებით გამოიყენოს. თუმცა ხალხისა და კომპანიის მოსაზრება ერთმანეთს არასოდეს ემთხვევა. კომპანიის ხელმძღვანელობა იცვლება, სიტუაცია-არა.


ორი წელია, დედოფლისწყაროელებში იმედი გაჩნდა. წყალმომარაგების გაუმჯობესების პროექტი, რომელიც საქართველოს მთავრობის დაფინანსებით მიმდინარეობს, დასკვნით ეტაპზე-ამ ინფორმაციას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანაშია ავრცელებს: „წყალი არის ჩვენი სენსიტიური თემა. აქტიურად მიმდინარეობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში წყლის დეპეტის გაზრდის მიზნით, მდინარე ივრიდან სასმელი წყლის ამოყვანის სამუშაოები. არსებული კომპანია, დაახლოებით, ერთი წლით უსწრებს წინ გრაფიკს და მომდევნო წლის დასაწყისში, როგორც კომპანიის ხელმძღვანელობა აცხადებს, თებერვალ-მარტის თვეში, აღნიშნული სამუშაოები დასრულდება და 2023 წლის ზაფხულში, როდესაც ჩვენ დეპეტის ნაკლებობა გვანუხებს-ხოლომე, ერთხელ და სამუდამოდ ეს პრობლემა წარსულმა ჩაბარდება.“

მინდა, დაპარწმუნო ჩვენი მოსახლეობა, რომ ეს გოლო უწყლო ზაფხულია!“

ბატონო ნიკოლოზ, მერიამ საკრებულოში წარადგინა ექვსი თვის ანგარიში, რომელიც დედოფლისწყაროელმა კანონმდებლებმა დადებითად შეაფასეს. რას იტყვით თქვენ, რამდენად ნაყოფიერი იყო 2022 წლის პირველი ნახევარი?

„ექვსი თვის მონაცემებით, საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი გვაქვს. ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯვის კუთხითაც ყველაფერი ნორმის ფარგლებში ხორციელდება. მოგეხსენებათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიწაზე ქონების გადასახადის შემოსვლა ადგილობრივ ბიუჯეტში 15 ნომბრიდან იწყება. ამის გათვალისწინებით, სხვა სახის შემოსავლები გადაჭარბებითაა შემოსული და ხარჯებიც გეგმავლობითაა განეული.“

დედოფლისწყაროში, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით, აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება. მინდა დედოფლისწყაროელები გავახარო და ვაცნობო, რომ ჩვენი მთავარი, წინასწარჩვენი დაპირება სრულდება. ალბათ, ყველას ახსოვს, რომ წინასწარჩვენი ვსაუბრობდით მომავალი თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე. ვამბობდით, რომ ვიზრუნებდით ახალგაზრდებზე და მათ განვითარებაზე. ხალხის დაკვირვაც იყო, რომ მეტი სტადიონი და ატრაქციონი ყოფილიყო მუნიციპალიტეტში, რომელიც ხელს შეუწყობდა ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციას. მე პატარა ვიდემი მამართვა გავავრცელე, სადაც მოსახლეობას ვამცენ 7 ახალი სტადიონის მშენებლობის თაობაზე. მოსახლეობას დავპირდი, რომ სხვა სიახლეებსაც ვაცნობდები. ახლა გავითის საშუალებით მინდა ვუთხრა მათ, რომ გარდა 7 ახალი სტადიონისა, ტენდერები გამოცხადდა მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით არსებული 10 სტადიონის სრულ რეაბილიტაციაზე. სტადიონების უმრავლესობა მოძველებული ან დაზიანებულია, ამიტომ ისინი მიხედვას საჭიროებს. დეტალურად ჩამოვთვლი: ფიროსმანში რეაბილიტირდება ძველი სტადიონი, სამთაწყაროში შარშან ახალი სტადიონი ავაშენებ, რომელიც მუშა მდგომარეობაშია. ქვემო ქედში შენდება როგორც ახალი სტადიონი, ასევე რეაბილიტირდება არსებულიც; რაც შეეხება არხილოსკალოს, აქ პრემიერის გაცემული დავალება უკვე საქმედ იქცა - ძველი და მწვარი შენობის დემონტაჟი განხორციელდა, პროექტირება მიმდინარეობს და სექტემბრის ბოლოსთვის უკვე დაიწყება სამუშაოები ლამა ბექაურის სახელობის ძიუდოს დარბაზის მშენებლობისთვის. სოფელში არსებული



სტადიონის რეაბილიტაციაც მოხდება. ზემო ქედში ორი ახალი სტადიონი აშენდება; სამრეკლოში აშენდება როგორც ახალი სტადიონი, ასევე მოხდება სოფლის სტადიონის რეაბილიტაცია; ქალაქ დედოფლისწყაროში ცენტრალურ სტადიონს ჩაუტარდება სარეაბილიტაციო სამუშაოები; რუსთაველის ქუჩაზე ე.წ. ხიდის კორპუსებთან დაგეგმილია ახალი სტადიონის მშენებლობა, ქალაქში არსებულ სტადიონებს ჩაუტარდება აღდგენითი სამუშაოები; ე.წ. მიკრო რაიონში, სადაც ბევრი ბავშვია, სათამაშო მოედნის განახლება მოხდება; ხორნაბუჯისა და გამარჯვებაში რეაბილიტირდება სტადიონები; არბოშიკში მოხდება არსებული სტადიონის განახლება და ასევე ბავშვთა გასართობი ატრაქციონების მოწყობა. მირზანში განახლდება არსებული სტადიონი; ზემო მაჩხანში დაგეგმილია ახალი სტადიონის მშენებლობა და ძველის განახლებაც. ასე ვთქვათ, დედოფლისწყაროში ინფრასტრუქტურული წელი გვაქვს. სტადიონების რეაბილიტაციის გარდა, დასასრულს უახლოვდება მიმდინარე პროექტები, რომლებიც გზის მოწყობას უკავშირდება. მაგ; სოფელ სამრეკლოში მე-12, მე-13 და მე-14 ქუჩებზე უკვე დაიგო ასფალტის საფარი და ფაქტობრივად აქ ქუჩა არ დარჩა კეთილმოწყობის გარეშე. ძალიან მალე დასრულდება მირზანში ე.წ. რაჭველების უბანში შუა და პირველი ქუჩების რეაბილიტაცია. არხილოსკალოში სოფლის ცენტრის პარალელური ქუჩის კეთილმოწყობა სრულდება; ასევე ქვემო ქედში სოფლის გზის მნიშვნელოვანი გზის რეაბილიტაცია მიმდინარეობს; დედოფლისწყაროელებისთვის სასიხარულო ფაქტია, რომ ევროკავშირის დაფინანსებით იწყება ციხე-ქალაქ ხორნაბუჯთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობა, რომელიც ითვალისწინებს საპიკნიკე და საპარკინგე, სავაჭრო ადგილების მოწყობას, ასევე ციხის გადასწვრივ არსებულ კლდეზე მოწყობა გადასახედი და მუნიციპალიტეტს კიდევ ერთი აბსტრაქცია და ტურისტული მიზიდულობის ცენტრი შეემატება, რომელიც მიმდინარე წლის დეკემბერში დასრულდება. პრემიერის ინიციატივის ფარგლებში, ქალაქ დედოფლისწყაროს ცენტრალურ ქუჩებზე, საცხოვრებელი კორპუსების რეაბილიტაციასთან ერთად, მიმდინარეობს მათი გამაგრებითი სამუშაოებიც. მერიაც აგრძელებს ამ ხაზს-კორპუსის შიდა ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოები აქტიურ რეჟიმში განხორციელდება. ეს იყო მოსახლეობის დაკვეთა და ჩვენი წინასწარჩვენი დაპირების ერთი ნაწილი. წინასწარჩვენი პერიოდში პირადად, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატთან, გოჩა სამუკაშვილთან ერთად, ყველა კორპუსი მოვიარეთ და მოსახლეობას პირობა მივეცით, რომ ამ ოთხწლედში ყველა საცხოვრებელი კორპუსის ეზოს კეთილმოწყობა განხორციელდებოდა. აღარ გადავდეთ სამომავლად - პირობა საქმედ ვაქციეთ და წელსვე დაიწყეთ კორპუსების ეზოების რეაბილიტაციის პროექტი. უკვე გამოცხადდა ტენდერი, რომელიც 30 აგვისტოს მთავრდება და დიდი იმედი გვაქვს გამარჯვებული კომპანია გვეყოლება და შეეძლებს ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას.

ვლოდ - პირობა საქმედ ვაქციეთ და წელსვე დაიწყეთ კორპუსების ეზოების რეაბილიტაციის პროექტი. უკვე გამოცხადდა ტენდერი, რომელიც 30 აგვისტოს მთავრდება და დიდი იმედი გვაქვს გამარჯვებული კომპანია გვეყოლება და შეეძლებს ამ მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებას.

მოსახლეობა მოუთმენლად ელის დედოფლისწყაროს მემორიალური პარკის პროექტის დაწყებას. მან რატომღაც ძალიან გადანიშნა...

გეთანხმებით. მემორიალური პარკის პროექტს დასაწყისშივე ისეთი აჟიოტაჟი მოჰყვა, რომ პირველი ტენდერი ჩავარდა. გამოცხადდა მეორე ტენდერი და ახლახანს შევიტყვე, რომ ის წარმატებით ჩატარდა და გამარჯვებულ კომპანიასთან მიმდინარეობს ხელშეკრულების გაფორმება. პროექტს განხორციელებს „მუნიციპალური განვითარების ფონდი“.

ქალაქ დედოფლისწყაროს მოსახლეობას განსაკუთრებით აინტერესებს პირველი საჯარო სკოლის შენობის ბედი...

დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლა ბევრი დედოფლისწყაროელისთვის მშობლიურია. ამასთან, ის ერთგვარად ჩვენი ქალაქის სიმბოლოცაა. გეთანხმებით, ბევრს აინტერესებს მისი ბედი. გადაწყვეტილი იყო სკოლის რეაბილიტაცია. მაგრამ, როდესაც სარეაბილიტაციო სამუშაოები უნდა დაწყებულიყო და დეტალური შემოწმება ჩაუტარდა სკოლას, აღმოჩნდა, რომ სართულშია გადახურვები სავალალო მდგომარეობაში იყო. რა თქმა უნდა, სამუშაოები შეერდა და მოიწვიეს სამხარაულის სახელობის ექსპერტიზა. ექსპერტიზამ დასკვნა დადო, რომლის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო სართულშუა გადახურვების - ანუ ოთხივე სართულზე იატაკის დემონტაჟი. განათლების სამინისტროსთან კომუნიკაციისა და სიტუაციის ანალიზის შედეგად გადაწყდა, რომ მომხდარიყო სკოლის სრული დემონტაჟი და მის ადგილას ახალი სკოლის მშენებლობა. იქიდან გამომდინარე, რომ გამაგრებით სამუშაოებს და ახალი სკოლის მშენებლობასაც ფაქტობრივად ერთი და იგივე დრო სჭირდება, მივიჩნიეთ, რომ ეს უფრო სწორი გადაწყვეტილება იყო. გამაგრებით სამუშაოები ორ ათეულ წელს გაძლებს, ახალი შენობა, კი მრავალ ათეულ წელზე იქნება გათვლილი. დაახლოებით სამი წელიწადი დასჭირდება სკოლის მშენებლობას. ამ ხნის მანძილზე სასწავლო პროცესს მოსწავლეები და პედაგოგები ხორნაბუჯის საჯარო სკოლაში გააგრძელებენ. სამი წლის შემდეგ კი ქალაქს ექნება ახალი და რაც მთავარია, უსაფრთხო სკოლა ჩვენი მომავალი თაობისთვის.

ესაუბრა ინგა შილაშვილი



ევროკავშირი საქართველოსთვის ENPARD



კლიმატის ცვლილების გამოწვევები და განახლებადი ენერჯეტიკა

სოფალი ფიროსვანი

გაეროს განვითარების პროგრამის „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“ - დაფინანსებით, დედოფლისწყაროში სოფელიდან პრაქტიკა - „ინოვაციური მიდგომები-სათემო განახლებადი ენერჯეტიკის რეგიონული დედოფლისწყაროში მუნიციპალიტეტში“. პროექტის ფარგლებში პარტნიორი ორგანიზაციის - ა(ა)იპ „მწვანე რეგიონები“-ს ექსპერტები ავთანდილ გალაძე და რუსუდან სიმონიძე, საინჟინერო კამპანიის ფარგლებში, ატარებენ საგანმანათლებლო სამინარეო კლიმატის ცვლილების, ენერჯეტიკის პროგრამის და განახლებადი ენერჯეტიკის თემაზე.

„ლაგის“ ადგილობრივმა კოორდინატორმა გინა ფუტყარაძემ აღნიშნა, რომ სოფელ ფიროსვანში მოსახლეობა ივლისის თვეში სავსებით სამუშაოებისა და დასვენების, თუმცა, სოფლის ახალგაზრდობამ მინც გამოიხატა დრო ამ საინჟინერო სემინარზე დასასწრებად.

პროექტის ხელმძღვანელმა ანა ბენაშვილმა შესავალი სიტყვით გააცნო აუდიტორიას დღის წესრიგი და საპრეზენტაციო თემატიკა.

ქალბატონმა რუსუდან სიმონიძემ პრეზენტაციის გაკეთებისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ ათწლეულების განმავლობაში ადამიანის მიერ ენერჯეტიკის „ხელგაშლილად“ ხარჯვის შედეგად ჩამოყალიბებული გარემოების, ენერჯეტიკის მარაგების შემცირების და სხვა თანამდევ პროცესების განვითარების დინამიკიდან გამომდინარე, აუცილებელი გახდა ენერჯეტიკის მონიტორინგის მკვეთრად შემცირება.

ენერჯეტიკის ეფექტურად მოხმარება თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. მსოფლიო მოსახლეობის ზრდასთან ერთად, ყოველდღიურად იზრდება მოთხოვნა ენერჯეტიკაზე, რაც კლიმატის გლობალური ცვლილების დაჩქარების საინდარო გახდა.


მიმდინარე კლიმატის გლობალური ცვლილება განსაკუთრებით ნარმოჩნდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, როცა შესამჩნევი გახდა მსოფლიოში საშუალო წლიური ტემპერატურის მკვეთრი ზრდა, ცუნამების, სხვადასხვა ქარიშხლების გაძლიერება და გახშირება;

იცვლება ბუნების, ეკოსისტემების ცვლილება, რომელთაგან მრავალი ვერ მოასწრებს შეგუებას და გადაგვარდება; შეიცვლება ცხოველთა, მცენარეთა სახეობების გავრცელების არეალი ან გაქრება; გაძლიერდება რეგიონალური ქარის სისტემის ცვლილების პროცესი, რაც გავლენას მოახდენს ნალექების გა-

დანაწილებაზე, გახშირდება წყალდიდობები, გვალვა, შტორმი და ქარიშხალი, გლობალურმა დაბობამ შეიძლება გამოიწვიოს ტყის ხანძრები; ეს პროცესები უკვე მნიშვნელოვნადაა გააქტიურებული ჩვენს ყოველდღიურებაში.

კლიმატის ცვლილების პროცესის ნიშნები, საქართველოში მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან შეიმჩნევა და მკვეთრად გამოაფრდა საუკუნის ბოლოდან. სურათი განსხვავებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში. უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურის მატებამ დასავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში 0.7°C-ს, აღმოსავლეთ საქართველოს ცალკეულ რაიონებში კი 0.6°C-ს მიაღწია. ბოლო მონაცემებით, საქართველოს რეგიონებიდან, კლიმატის ცვლილება განსაკუთრებით მკვეთრად არის გამოხატული აჭარაში, ზემო სვანეთსა და კახეთში.

დღეს, მსოფლიოს განვითარებული ქვეყნები მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ ენერჯეტიკის ლონისძიებისა და პროგრამების განხორციელებას, ასევე, ისეთი ტექნოლოგიების დანერგვას, რომელიც დაზოგავს როგორც ფინანსებს, ასევე, ნაკლებ ზიანს მიაყენებს გარემოს. მაგალითად, დეტროიტში (აშშ) „ჯენერალ მოტორს“-ის



ქტორში სანარმო პროცესების ოპტიმიზაციით, ენერჯეტიკის ჩვენების, საქმიანობის სქემების და ოპერატიული რეჟიმების გაუმჯობესებით. ენერჯეტიკის დირიქტორად ადამიანურ ფაქტორთან არის დაკავშირებული. სემინარის მონაწილეებმა პრაქტიკული სავარჯიშო შეასრულეს და თავინთი სოფლის მაგალითზე სოციალური ფუნქციის

გამოიყურება:
ქარის ენერჯეტიკის მაქსიმალური წილი იყო - 2020 წელს და შეადგენდა 0,7%, გეოთერმული ენერჯეტიკის მაქსიმალური წილი იყო - 2014 წელს და შეადგენდა 6,3%, მზის ენერჯეტიკის მაქსიმალური წილი იყო - 2016 წელს და შეადგენდა 1,1%.
საქართველოს ტერიტორიაზე (69 700 კვ. კმ) მოღწეული მზის ენერჯეტიკის თეორიული პოტენციალი შეადგენს ≈100 000 მლრდ კვტს/წ.

თბილისის ტერიტორიაზე — ≈ 1 100 მლრდ კვტს/წელი
ქუთაისის ტერიტორიაზე — ≈ 100 მლრდ კვტს/წელი
რუსთავის ტერიტორიაზე — ≈ 90 მლრდ კვტს/წელი
ბათუმის ტერიტორიაზე — ≈ 30 მლრდ კვტს/წელი

უაღარაპა
ენერჯეტიკის (კასკადების ჩათვლით) საპროექტო გამოშვება წელიწადში შეადგენს 5,46 მლრდ კვტ*ს; ამდენ ენერჯეტიკაზე საქართველოში აფრქვევს 360ჰა-ზე ≈3,6 კვ.კმ ენერჯეტიკის წყალსაცავის სარკე 13,3 კვ.კმ-ის ფარგლებში (1300 მგვტ) ხრამშის წყალსაცავის სარკე 33 კვ.კმ-ის ფარგლებში (110 მგვტ) თბილისის ზღვის ზედაპირი 11,6 კვ.კმ-ის ფარგლებში.
სიონის წყალსაცავის ფართობია 12,8 კმ².

სიონის წყალსაცავის წყლის საერთო მოცულობაა 325,4 მლნ. მ³., თბილისის წყალსაცავისა — 308 მლნ. მ³. სიონის წყალსაცავის უდიდესი სიღრმეა 67 მ, თბილისის წყალსაცავისა — 45 მ.

ბატონმა ავთანდილ გელაძემ ისაუბრა მზის ენერჯეტიკის ათვისების ხელშეწყობის მიზნით და ენერჯეტიკის და აღნიშნა, რომ 2005 წელს, იმპორტული ჰელიოსისტემები არ იბეგრებოდა დამატებითი ღირებულების გადასახადით; 2005 წლის 1 იანვრიდან, ახალი საგადასახადო კოდექსით, ეს შეღავათები მოიხსნა და იმპორტირებული ჰელიოსისტემების ფასი გაიზარდა. საქართველოში ჰელიოსისტემები 35-40%-ით მეტი ღირს, ვიდრე ანალოგიური სისტემები თურქეთში; შინამეურნეობებისთვის ასეთი სერვისით სარგებლობა ძვირი სიამოვნებაა, თუმცა, დიდი ბიზნესებისთვის, გრძელვადიან პერსპექტივაში, ის საკმაოდ ზოგავს ხარჯებს და ნამდვილად ღირს მასზე ორიენტირება.

ინფორმაცია მომზადებულია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP საქართველო) „სოფლის განვითარების გაუმჯობესება საქართველოში“, პროექტის - „ინოვაციური მიდგომები - სათემო განახლებადი ენერჯეტიკის ოაზისები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში“-ფარგლებში.

ინგა შილაშვილი



ოფისში, რომელიც 5,5 მილიონი კვადრატული მეტრია, ენერჯეტიკის დანადგარების დამონტაჟების შედეგად, ერთ წელიწადში, დაიზოგა 500 000 აშშ დოლარის ელექტროენერჯია.

ენერჯეტიკის გამოყენება ეს არის ნაკლები ენერჯეტიკის და ენერჯეტიკული მომსახურების გამოყენება, რაც საყოფაცხოვრებო სექტორში მიიღწევა: ენერჯეტიკის რაციონალურად მოხმარების კულტურის ამაღლებით, ეკონომიკის სხვადასხვა სე-

მიხედვით, გაინგარაშეს ყოველთვიური შემოსავლებიდან ენერჯეტიკის ხარჯები. აღმოჩნდა, რომ საშუალოდ ოჯახის შემოსავლების 20% სწორედ ამ მიმართულებით იხარჯება.

შესვენების და დისკუსიის შემდეგ, განახლებადი ენერჯეტიკის შესახებ პრეზენტაცია გააკეთა ექსპერტმა ავთანდილ გელაძემ. როგორც მან აღნიშნა საქართველოში განახლებადი რესურსების დიდი პოტენციალი: ჰიდროენერჯეტიკა, მზის ენერჯეტიკა, ქარის ენერჯეტიკა, ბიომასის ენერჯეტიკა, გეოთერმული ენერჯეტიკა, ტალღების ენერჯეტიკა და სხვა.

საქართველოში სულ 26000-ზე მეტი მდინარეა, აქედან, ენერჯეტიკული თვალსაზრისით, 360 მდინარეა მნიშვნელოვანი. დღეისათვის საქართველოში სულ 64 მოქმედი მცირე ჰესია და მათი ჯამური სიმძლავრე 259,41 მგვტ-ია; 1960 წლამდე მოქმედებაში იყო ≈220 მგვტ სიმძლავრის 400-მდე მცირე ჰესი. ჯამური თეორიული ჰიდროენერჯეტიკული პოტენციალი, სხვადასხვა გამოკვლევებით, შეადგენს 136.9-159.4 მლრდ. კვტს/წელიწადში. ტექნიკურად გამოყენებადია 81-90 მლრდ. კვტს/წელიწადში. მცირე ჰესების ჯამური თეორიული ჰიდროენერჯეტიკული პოტენციალი შეადგენს 40 მლრდ. კვტს/წელიწადში, ხოლო ტექნიკური -19.5 მლრდ. კვტს/წელიწადში.

სხვა წყაროებიდან მოხმარებული ენერჯეტიკის წილი ჩვენს ქვეყანაში, ასე



გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი რამდენი დოზაა დედოფლისწყაროში?

მივიღებთ თუ არა დროულ და ეფექტურ დახმარებას დაკბენის შემთხვევაში?

ზაფხულის სეზონზე ტემპერატურის მატებასთან ერთად აქტუალური ხდება გველის შხამის საწინააღმდეგო შრატის არსებობის საკითხი და ადამიანის დაკბენის შემთხვევაში დროული რეაგირება. ვაქცინით უზრუნველყოფის პრობლემამ თავი მას შემდეგ იჩინა, რაც 2011 წლის მაისში დაგვიანებული რეაგირების გამო დედოფლისწყაროს ერთ-ერთ ფერმაში გველის მიერ დაგესლილი 3 წლის ამილ გასანოვი, 2010 წელს კი სოფელ სამთაწყაროში ვენახში მყოფი ორსული, 34 წლის ნარგიზა ხოზრევანიძე ქვეწარმავლის დაკბენის შედეგად გარდაიცვალნენ. სამედიცინო დაწესებულებებმა და სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა „ანტიგიურზინის“ ვაქცინით დროულად აცრა ვერ შეძლეს, რასაც ფატალური შედეგი მოჰყვა. შემთხვევებმა იმდენად დიდი რეზონანსი გამოიწვია, რომ ქვეყნის პრეზიდენტი, მინისტრები და სამედიცინო რეგულირების სააგენტო რადიკალურ განცხადებებსაც არ ერიდებოდნენ. მას შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რეგიონების შრატით მომარაგების საკითხს.



გაზეთი „შირაქი“ დაინტერესდა, რამდენ ვაქცინას ფლობს ამჟამად დედოფლისწყაროს საავადმყოფო და დაცულია თუ არა შენახვის ვადაში. ამასთან, საინტერესოა, აქვთ თუ არა გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის დედოფლისწყაროს სამმართველოს უშუალოდ ველზე. ვინაიდან ნაკრძალის ტერიტორია და შირაქის ველი გველების აქტიური გავრცელების ზონად ითვლება, რაიონულ ცენტრამდე ტრანსპორტირება კი დიდ დროს მოითხოვს, ამ ადგილებში ჭირს სატელეფონო კავშირიც, ეს ფაქტორები დროული რეაგირების რისკებს ზრდის. რამდენად დაცულია დაგესვლისგან მოქალაქე და ტურისტები ამ ზონებში ყოფნისას და მიიღებს თუ არა დაშავებული პირი სახელმწიფოსგან ეფექტურ სერვისს – ამ კითხვებით „შირაქმა“ ყველა შესაბამის უწყებას მიმართა.

ავადმყოფოს, იქ სათანადო პირობების დაცვით ინახება. ამდენად, რაიონული ჯანდაცვის ცენტრში არ გვაქვს შრატი. ძირითადად, ყოველთვის ორი დოზა ინახება და საკმარისია ხოლმე. ჩვენ შემოგვაქვს სეზონურად, ვადების დაცვით და ვაბარებთ რეგიონული ჯანდაცვის ცენტრის დედოფლისწყაროს საავადმყოფოს,“ – აცხადებს ლალი ალადაშვილი.

სასაზღვრო პოლიციის პრეს-სამსახურს იმის გასარკვევად დავუკავშირდით, მომარაგებულია თუ არა ჩვენი ქვეყნის საზღვარი სპეციალური შრატით. სასაზღვრო პოლიციის დედოფლისწყაროს №4 სამმართველოში გაზეთ „შირაქს“ უთხრეს, რომ მათთან გველის შხამის საწინააღმდეგო სამი დოზა შრატია დაცული.

„შრატი ცხადია ახლაც გვაქვს და ყოველთვის გვქონდა. ამჯერად სამივე დოზა ცენტრში ინახება. ბოლო რამდენიმე წელია დედოფლისწყაროს საგუშაგოებზე მორიგე მესაზღვრეების დაგესვლის შემთხვევა არ დაფიქსირებულა. მხოლოდ ერთი ასეთი შემთხვევა მახსენდება, ისიც მრავალი წლის წინ. მაშინაც დროულად მოხდა რეაგირება,“ – აცხადებს სასაზღვრო სამმართველოს ექიმი დიმიტრი ყოჩიაშვილი.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციაში განმარტავენ, რომ გველის შხამის საწინააღმდეგო შრატი არ აქვთ, რადგან ველზე არც მისი შენახვის პირობე-

„32 წელია ვაშლოვანში ვარ, ადამიანის დაკბენის სულ სამი შემთხვევა მახსოვს“

ბი აქვთ და არც გამოყენებისთვის საჭირო უნარები. თუმცა, როგორც ვაშლოვანის ადმინისტრაციის წარმომადგენელი ნინო სეთურიძე გაზეთ „შირაქს“ უამბობს, პირველადი დახმარების ტრენინგები თანამშრომლებს წელიწადში 2-ჯერ უტარდებათ და დროული რეაგირებისთვის მზად არიან.

„ზოგადად, ვაშლოვანის ტერიტორია ცნობილია გველების სიმრავლით, მაგრამ, საბედნიეროდ, ვიზიტორების, ან თანამშრომლების დაკბენის შემთხვევები თითქმის არ ფიქსირდება. ამიტომ, ქვეწარმავლების სიმრავლე დამთვალეირებისთვის შემაფერხებელი გარემოება სულაც არ არის. მრავალი წელია, არ ყოფილა შემთხვევა, რომ ვინმე დაეგესლა და შრატის საჭიროება დამდგარიყო. თუმცა, რეინჯერებს და ჩვენს თანამშრომლებს ცხადია აქვთ პირველადი დახმარების აღმოჩენისა და დროული რეაგირების უნარ-ჩვევები. პირველადი დახმარების ტრენინგები თანამშრომლებს წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ გვიტარდება. დაახლოებით 5 წლის წინ ქვეწარმავალმა ბავშვი დაკბინა. რეინჯერმა სპეციალური, ვაკუუმის შპრიცით აღმოუჩინა პირველადი დახმარება. ანუ, შხამს არ მისცა საშუალება, რომ სხეულში მალე გავრცელებულიყო. შემდეგ სასწრაფო დახმარების ეკიპაჟი გამოვიძახეთ, რომელმაც კლინიკაში გადაიყვანა და გაუკეთდა შრატი. წინა წლებში სხვა შემთხვევა არ დაფიქსირებულა,“ – ამბობს ნინო სეთურიძე.

ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა სამსახურის უფროსი ვაჟა ჩერქეზიშვილი ნაკრძალში დაარსების დღიდან მუშაობს. ის გაზეთ „შირაქთან“ ამბობს, რომ წლების მანძილზე დაცულ ტერიტორიებზე დაკბენის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ახსენდება. მისივე თქმით, ყველა ავტომანქანა ვაკუუმ შპრიცითაა აღჭურვილი, რასაც დაკბენის შემთხვევაში რეინჯერები გამოიყენებენ.

„32 წლის განმავლობაში ქვეწარმავლის მიერ ადამიანის დაკბენის სულ 3 შემთხვევა მახსოვს, დაკბენილები მანქანით საავადმყოფოში გადაიყვანეს, დროული დახმარება იქ აღმოუჩინეს და ყველა მათგანი გადარჩა. ჩვენ მანქანებში გვაქვს სპეციალური შპრიცი ნაკბენიდან შხამის ამოსაწოვად. როგორც ამბობენ, საკმაოდ ეფექტურია და შედარებით ამსუბუქებს დაკბენილის მდგომარეობას. რამდენი მანქანაც გვაქვს, ყველა მათგანი აღჭურვილია ამ შპრიცებით. რა თქმა უნდა, ქვეწარმავლების სიმრავლე ვიზიტორთათვის შემაფერხებელი არ არის. აფრიკა სავსეა გველებით, თანაც ბევრად უფრო შხამიანებით და საშიშებით, მაგრამ მთელი მსოფლიოდან ჩასული ვიზიტორებით სავსეა ეროვნული პარკები. ვაშლოვანის ნაკრძალში 12 სახეობის გველია გავრცელებული, აქედან შხამიანი მხოლოდ 2 სახეობაა: გიურზა და გველგესლა. გველი თუ დაინახა ვიზიტორმა, აუცილებელი არაა, რომ შხამიანი იყოს. გველი ადამიანს რომ ხედავს, ცდილობს თვითონ გაგერიდოს, რადგან ადამიანის ამხელა ორგანიზმი მისთვის საკვები არ არის,“ – აღნიშნავს ვაჟა ჩერქეზიშვილი.

შარშან ქვეწარმავლების დასახლებულ უბნებში გამოჩენის შემთხვევები ქალაქ დედოფლისწყაროშიც იმდენად ხშირი იყო, მუნიციპალიტეტის მერია იძულებული გახდა დახმარებისთვის სურსათის ეროვნული სააგენტოსთვის მიემართა და ქალაქში სპეციალური ავტომანქანების გამოყენებით ნისლით წამლობა ჩატარებინა. გველების საწინააღმდეგოდ ასეთი მასშტაბური ღონისძიებები დედოფლისწყაროში არასოდეს გატარებულა.

ილია მარტყოფლიშვილი



ჰობიდან პროფესიამდე...

„ჩემი საქმე ჩემი თერაპიაა“

ხელსაქმეს საქართველოში უძველესი ფესვები აქვს. ქსოვა-მქარველობა ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ბრინჯაოს ხანაში იყო განვითარებული. ისტორიის მამად ნოდებულის პეროდოტე (ქრისტეს შობამდე 485-422 წწ.) გვაუწყებს, რომ იმდროინდელი კავკასიის მთიელები ბრწყინვალედ ქსოვდნენ, ქარავდნენ და იქვე დასვენდნენ, რომ ეს ნაქარგობა არ ხუნდებოდა. მის ცნობებში კოლხური სელის ქსოვილი ვევიტურთან არის გათანაბრებული. ის ტრადიციულ, ქართულ ოჯახებს წესად მოსდევდათ და თაობიდან თაობას გადაეცემოდა. საზოგადოებაში მიღებული ცეცხლის ნესების სწავლებასთან ერთად, აუცილებელი იყო ქალისთვის ხელსაქმის ცოდნა. ისტორიული ფაქტებიდან როგორც ვიცით, პირველად სწორედ ხელსაქმეს ასწავლიდნენ წარჩინებული ოჯახის მანდილოსანს და ეს, ღირსეული ქალის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი იყო. ეს ტრადიცია წლების განმავლობაში დავინყვებს მიეცა და დღეს არც თუ ისე პოპულარულია.

შეიძლება ვილატისთვის ხელსაქმე დროის ტყუილი ფლანგვა იყოს, ვილატამ შეიძლება გითხრათ - რატომ უნდა ინვალო, როცა შეგიძლია ნახვიდე და მალაზიაში შეიძინო, მაგრამ გეტყვით, რომ ზოგს ქსოვის და ზოგადად ხელსაქმის გარეშე ვერ წარმოუდგენია ცხოვრება, ეს მისი არსებობის მიზანი, გატაცებაზე მეტი და შემოსავლის მთავარი წყაროც კია. მარინა მქარველი იმ ადამიანებს შორისაა, ვისთვისაც ხელსაქმე ჰობიდან პროფესიად გადაიქცა, უბრალოდ, ყურებით დაწვეული ბავშვური ონავრობა კი მთელი მისი თავისუფალი დროის მთავარ შემავსებელად. ბიზნესი და ტილოს ნაჭერზე სათითაოდ დათვლილი უჯრების, უამრავი გათენებული ღამისა და საოცრად შრომატევადი, გრძელი გზის, საყვარელ საქმიანობად გარდაქმნის პროცესის მიმოხილვამდე, პატარა ბლიცით დავინწყით მისი გაცნობა.



ვერსიონი-სიყვარულს;
მიყვარს - ოჯახი;
ცვლილობა-გაუფრთხილები ყველაფერს;
ვდარდობ - შვილებზე;
ვამაყობ-შვილებით;
მწყინს-ორპირობა, ტყუილი, უმადურობა;
კამათობ-ყველგან და ყველაფერზე, იმიტომ, რომ კამათში იბადება სალი აზრი და ქვემარტობა;
ვეძებ-ისევე ჩემს თავს, სანამ ცოცხალი ვარ;
მლიზინებს - უმადურობა;
მეშინია-ურწმუნო საღვთის;
ვიცი- ის რაც ვიცი და ცვლილობა, უფრო მეტი ვიციოდე;
არ ვიცი-ძალიან ბევრი რამაა რაც არ ვიცი;
შემიძლია - მგონი, ბევრი რამ შემიძლია, იმიტომ რომ, როცა დაგჭირდება, ბევრი რამ შეგიძლია ადამიანს;
არ შემიძლია - არ შემიძლია არ არსებობს;
ვიცინი - ზოგჯერ სატირალზეც;
ვტირი - ვტირი იშვიათად, როცა გულს მტკუნენ და პასუხს ვერ ვუბრუნებ, იმიტომ რომ

-ვინ არის მარინა მქარველი? როგორად აღიქვამს ის საკუთარ თავს სოციალურად?

ყოველთვის იმას ვამბობდი და ვამბობ, რომ უპირველესად, ვარ დედა და მეუღლე, ვისთვისაც ყველაზე ძვირფასი ეს პროფესიაა. გაგიჩნდებათ კითხვა, მუშაობა, კარიერა, რატომ თქვი უარი ამ ყველაფერზე, მაგრამ სინამდვილეში, არც მქონია მუშაობაზე პრეტენზია. მიუხედავად იმისა, რომ ორი სასწავლებელი მაქვს დამთავრებული, ორი დიპლომი მაქვს და ყოველთვის შემეძლო მუშაობა, მაინც ოჯახი დავაყენე პირველადილას. ჩემი შვილების წარმატებები - ოქროს მედლები, თავიანთი შრომით მოპოვებული კომპიუტერები თუ წარჩინებული ნიშნები ჩემთვის მთავარი დაფასება და სახელი.

-როგორ განიხილავთ შენს ცხოვრებაში ხელსაქმე? რა იყო მთავარი მოტივი, რის გამოც ინტერესი გაგიჩნდა ამ საქმის მიმართ?

ამ კითხვაზე ჩემი დიდი ბებია მასწავლებდა. დაახლოებით, 6 ან 7 წლის ვიყავი, როდესაც ქსოვა და ზოგადად, ხელსაქმე ჩემს ცხოვრებაში შემოვიდა. უმეტესობას გაუკვირდება და შეუძლებლადაც კი მიიჩნევს, მაგრამ ბებია, 2 ან 3 წვეთს წინდას ქსოვდა ერთ ღამეში. ცოდავ გამხელილი სჯობს და გეტყვით, რომ მთელი ცხოვრება „გაუფრთხილ“ „საწყალ“ ქალს - მუდმივად ვპარავდი საქსოვ ჩხირებს და ძაფებს. ჯიბეებში მქონდა ჩადებული ეს ჩემი „მომარული ნადავლი“, ბებიასგან მოშორებით დავვადებდი და ვქსოვდი. თვლების ამოყვანა რომ არ ვიცოდი, ვითომ ვქსოვდი და ის ჩემი ნაწვლები „ნაქსოვი“ ირღვეოდა და ასე თავიდან. დღეს უკვე სხვებს ვეუბნები, რომ თუ არ დაშალეს, ისე ვერ ისწავლიან. ჩემი ბავშვობის მოგონებებიდან გამომდინარე, დღემდე ვამბობ, რომ ჩემი მთავარი ინსპირატორი სწორედ დედაჩემის ბებია - ჩემი დიდი ბებიაა. ის, რომ არა, დღეს შეიძლება სხვა განხრით ნავსულიყავი.

-როგორც ისტორიული წყაროები ამბობენ, პირველი მქსოველები მამაკაცები იყვნენ. ქალებს ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ მათთვის ეს ხელსაქმე „ნაერთმიათ“. ქალები ამ საქმეში სულ რაღაც მე-19 საუკუნიდან არიან ჩართულნი. როგორ ფიქრობ, არის თუ არა დღემდე ამ საქმეში გენდერული დისბალანსი?

საქართველოში ეს ბალანსი დარღვეულია. დარღვეული კი არა, ალბათ, ვიტყვი, საერთოდ არაა. დღეს ქართველი მამაკაცი ამ საქმეში საერთოდ აღარ ფიქრობს, როგორც წამყვანი ძალა. თუ ვინმეს შეუძლია ის ან მალავს, ან საერთოდ არ აპირებს ამ საქმის მიყოფას, რადგან სირცხვილად მიაჩნიათ საკუთარი ჰობი თუ საქმე. ჩვენს საზოგადოებაში, თუ მამაკაცი ამ საქმით დაკავდება, მას გააქილიყვებენ. სხვათაშორის, როდესაც სოციალური ქსელით ვეცნობი

პასუხისთვის ვერ ვიმეტებ;
ღირსი ვარ - იმის, რაც მაქვს, მეტი არ მინდა; მაინტერესებს-ყველაფერი, რაც ჩემს გარემოში ხდება;
არ მაინტერესებს - სხვისი ცხოვრება;
მასხვს - ბევრი გულისტკენა წარსულიდან;
უარყოფ - ვინც მე უარმყოფს;
მრცხვენია - არაფრის;
ვმალავ-წონას;
ვინასავ-სიყვარულს და საიდუმლოებებს;
მივირის - „ხელგანვიდილი“ და უსაქმური ხალხის;
მიხარია - ჩემი შვილების ყურება;
ვამზადებ - გემრიელ კერძებს;
ვერიდები - ნ სთ-ის შემდეგ ჭმამს; ვ ეთაყვანები - მეუღლეს;
ვეფიქრობ - ჩემი შვილების მომავალზე;
მტუხს - ომი;
ვინაობ-ცოტა ადრე, რომ არ დავიბადე;
მსურს - უფრო ძლიერი ვიყო;
ვოცნებობ- ყველაფერ იმაზე რაც ჩემს შვილებს და ჩემს ოჯახს ეხება;


ხოლმე მსგავსს სიახლეებს, მამაკაცებს უფრო კარგი ნაქსოვები აქვთ, ვიდრე ქალებს. საზღვარგარეთ, ეს მათი სამუშაო და შემოსავლის წყაროა. რატომაც არა? თუკი ქალს შეუძლია ატაროს ტრადიციური, აკეთოს მამაკაცის საქმე, რატომ ითვლება ეს მამაკაცისთვის სასრიცხვილოდ? ვფიქრობ, ეს ერთი და იგივეა. თანაც ისტორიული ფაქტია, რომ მე-18 საუკუნეში კაცები უფრო მეტად იყვნენ ქსოვით დაკავებულნი, ვიდრე ქალები.

-მეცნიერები ამბობენ, რომ თუ ქსოვა შეგიძლიათ, შეგიძლიათ გემრიელი საჭმლის მომზადება, სხვადასხვა შემოქმედებითი საქმიანობით დაკავება, იშვიათად, ან არასდროს შეგანუხებთ ფსიქოლოგიური პრობლემები, სტრესი, დეპრესია და შფოთვა. განწყობის ასამაღლებელი ეფექტი აქვს ყველაფერს, რასაც საკუთარი ხელით ვქმნით, საკუთარი ხელით ვაკეთებთ. ეთანხმებით თუ არა ამ მოსაზრებას?

პანდემიის დაწყებიდან უამრავი ადამიანი მოექცა ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ სახლში იყვნენ გამოკეტილები. ჩემს ოჯახს ეს პრობლემა არ ჰქონია. მიუხედავად მკაცრი კონტროლისა, რომელიც 24 საათიან ზედამხედველობასაც ითვალისწინებდა, ჩვენ სურვილიც კი არ გვქონდა გარეთ გასვლის, რადგან ვქსოვდით, ვქარავდით, ვკითხულობდით, გემრიელობებს ვამზადებდით. ვფიქრობ, მსგავსს თერაპიას ნამდვილად ჰქონდა და აქვს შედეგი. ჩვენ იდეები არ მოგვკლებია. რაც მე იმ ორ წელში ვიმუშავე და მოვქსოვე, თუნდაც შემოსავლის მხრივ, ალბათ, დანარჩენ წლებში იმის ნახევარიც კი არ მიმუშავია. უნდა ითქვას, რომ თავი მაღლა არ ამიღია. პანდემია იყო თუ არ იყო, დიდად არ მიგრძენია, რადგან ვერ მოვიცალე გარეთ გასასვლელად. ხშირად, როდესაც რაღაცაზე ვაგენერულიდები ან საფიქრალი მომეტება ხოლმე, ჩემს სამუშაო ოთახში შევდივარ და გარეთ ვტოვებ ყველა პრობლემას. ჩემი ხელსაქმე ჩემი თერაპიაა. ის მეხმარება ამ „ლუგა ღრუბლების“ გადაყრაში. ასე, რომ ყველანაირად ვეთანხმები ზემოთ ნახსენებ მოსაზრებას.

-რას ნიშნავს თქვენთვის ხელსაქმე და როგორ შეცვალა ჰობიდან პროფესიამდე ქცეულია საქმემ თქვენი ცხოვრება?

თავდაპირველად, მინდა ვთქვა, რომ ეს გზა არ ყოფილა მარტივი. ჩემი გზა, სკოლის პერიოდში თოჯინების კაბების მოქსოვით დაიწყო. შემდეგ იყო სუფრები და გადასაფარებლები, რომლებსაც ვქსოვდი, სტუდენტობის პერიოდში ვქარავდი. ორ სკოლაში მქონდა წრე, სადაც ბავშვებს ხელსაქმეს ვასწავლიდი. ვიბრძოდი იმისთვის, რომ ჩემი საქმით სტუდენტობის პერიოდში მეცხოვრა. მაშინ ისეთი წლები იყო, რომ განებივრებული სტუდენტობა ნამდვილად არ გვქონია. ყველაფერზე თვითონ უნდა გეზრუნა. სამუშაო უნდა მქონოდა, რომელიც მაშინ არ იშოვებოდა. სწორედ ამიტომ, მივიჩინე, რომ ქარგვა და ქსოვა გახდებოდა ჩემი შემოსავლის წყარო. ძირითადად ქუდეებს და სუფრებს ვქსოვდი. შემდეგ, როდესაც შევძელი დამეხვეწა ჩემი ქსოვის ტექნიკა, მივეცი ჩემს თავს იმის უფლება, რომ შემთავაზებინა მომხარებლისთვის პროდუქცია. მომხმარებელმაც დააფასა ეს შრომა და მოინონა ჩემი ნამუშევრები. ეს იყო ჩემთვის დიდი მოტივაცია. მთავარი სირთულეც, ალბათ, სწორედ ის იყო, რომ რესურსების, ფინანსების მოპოვება მთლიანად მე მევალებოდა. სწორედ ამ საქმით მომიჩნია მთელი სტუდენტობის გატარება. ხოლო, როცა ოჯახი შეეკმინა, მერე უკვე ჩემი იდეების 100% განვახორციელე. ამ ყველაფერში მეუღლე ძალიან მიწყობდა ხელს. თუმცა, ქარგვას თავი დავანებე და გადავიდი ქსოვაზე, რადგან ჩემი მეუღლე წინააღმდეგე იყო ჩემი ნაქარგების გაყიდვის. ჩემი მეუღლე თუ გარეთ მუშაობს, მე სახლში უსაქმოდ არ ვზივარ და ჩემი შემოსავლით ოჯახს გარკვეულწილად ვეხმარები. საკუთარ თავს ამ საქმეში მთლიანად ჩართვის უფლება იმიტომ



მივეცი, რომ ძალიან ბევრი მაღლიერი მომხმარებლის შეტყობინება მომიღოდა. ამან უფრო ძლიერად იმოქმედა ჩემზე. მაღლობა მათ სტიმულსთვით. შეიძლება პატარა-პატარა ნიუანსები არ მოსწონდით, მაგრამ შემიძლია თამამად ვთქვა: იმის გამო, რომ უკმაყოფილო არავინ ყოფილიყო, ბოლომდე მოქსოვილი საკუთარი ნამუშევარი დამირღვევია მცირე ნაკლის აღმოჩენისას. მინდა, რომ რა თანხასაც იხდის მომხმარებელი, ის იყოს დამსახურებული.

-თქვენს შვილებს თუ აქვთ მსგავსი მისწრაფება ამ საქმის მიმართ?

დროთა განმავლობაში, ჩემი შვილებიც დაინტერესდნენ ამ საქმით. ვფიქრობ, ეს ბუნებრივადაც კი მოხდა. როდესაც მეცადინებდნენ, ვიჯექი მათთან ოთახში და ვქსოვდი. ვიცოდი, რომ არ „თაღლითობდნენ“ და ყურადღების ქვეშ იყვნენ. ბავშვები ჩემს საქმიანობას რომ უყურებდნენ, გაუჩნდათ სურვილი, რომ ეცადათ. ჩემი სამსახურზე უარის თქმის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ჩემი შვილებისთვის დამეთმო მეტი დრო და მიმეცა სრული განათლება, თუმცა, მათთვის არასდროს მითქვამს- „ჯერ მოქსოვეთ და მერე იმეცადინეთ“. შვილებმა ძალიან ჭკვიანურად აირჩიეს პროფესია - ორივემ პედაგოგობა არჩია და ვფიქრობ, ძირითადი საქმიანობის გარდა, მიეცემათ საშუალება, რომ თავიანთი ხელსაქმისთვისაც დარჩეთ დრო. უფროსმა ქალიშვილმა, ნინომ, ხელნაკეთი სათამაშოების გაკეთება დაიწყო და ონლაინ შეკვეთებსაც იღებს. შეიძლება ამ საქმეში ჯერ ახალბედა იყოს, მაგრამ შეფასებები ძალიან კარგი აქვს და ვნახოთ, როგორ განვითარებს ამ საქმეს.

-ხელსაქმე დიდ შრომას მოითხოვს. ხომ არ გიფიქრიათ ამ შრომის შემსუბუქება და საქსოვ დაზგებზე გადასვლა?

იყო შემთავაზებები, რომ გარკვეული ტიპის პროექტით საქსოვი დაზგები და მსგავსი ტექნიკა შემიძინა, მაგრამ, უარი ვთქვი. მე ხელით მუშაობა მანიჭებს უდიდეს სიამოვნებას.

/გაგრძელება შემდეგ გვერდზე/

ოზაანში სატაცურის წარმოება ფართოვდება

სატაცურის მწარმოებელი კომპანია „ოზაანი“ გაფართოვდა ბიზნესს. წარმოება ამ დროისთვის 6 ჰექტარს და 5 ტონა მოსავალს აერთიანებს, უახლოეს პერიოდში კი პლანტაციის 10 ჰექტარამდე გაზრდა განიხილება.

როგორც „ოზაანის“ ხელმძღვანელი ჯაბა გიგოლაშვილი ამბობს, წარმოების გაზრდის შემდგომ უკვე ექსპორტსაც განახორციელებენ.

„ოზაანის“ ხელმძღვანელი მიმდინარე წლის სატაცურის მოსავალსაც აფასებს და როგორც თავად ამბობს, სანავის, მუშახელის, მცენარის დაცვის საშუალებების გაძვირების მიუხედავად, სატაცურის ფასი შარშანდელის მსგავსი იყო და არ გაზრდილა.

„ახალ სეზონზე გაორმაგებული მოსავალი გვექნება, რადგან ახალგაზრდა პლანტაცია და ჯერ სრულ მოსავალს არ გვაძლევს. გარდა ამისა, გვინდა ბალის ფართობი 10 ჰექტარამდე გავზარდოთ, რათა შემდგომ ექსპორტიც განვახორციელოთ. ამ ეტაპზე უცხოეთის ბაზარზე არ ვართ, რადგან მოცულობა ადგილობრივ ბაზართან ერთად საერთაშორისო ბაზრის დაკმაყოფილების საშუალებას არ გვაძლევს. გვინდა global gap-ის სერტიფიკატი ავიღოთ, რაც ევროპაში ექსპორტის განხორციელების საშუალებას მოგვცემს. სერტიფიკატის გარეშე კი ექსპორტს აზერბაიჯანში, უკრაინაში, დსთ-ის ქვეყნებსა და რუსეთში განვიხილავთ.

რაც შეეხება სეზონს, იმის მიუხედავად, რომ ყველაფერი გაგვიძვირდა, სატაცურის ფასი იგივე იყო, რაც გასულ წელს. საბითუმო ფასი 10-15 ლარის ფარგლებში მერყეობდა. იმის გათვალისწინებით, რომ სანავის, და მუშახელის გაძვირებამ ხარჯი გაგვიზარდა, სატაცურის გასაყიდი ფასებით უკმაყოფილოები ვიყავით“, - ამბობს ის.



/დასაწყისი მე-4 გვერდზე/



ხელსაქმის მთავარი არსიც ხომ ეგაა. სასაცილოა, ალბათ, მაგრამ მე ყაისნა-ლის და საქსოვი ჩხირების მეტი არაფერი მიყვია. ხელით მუშაობის დროს რეალობას ვწყდები. ერთ ნამუშევარში შეიძლება ქარგვის რამდენიმე ტიპი გამოვიყენო. თანაც, ორი ერთნაირი ნამუშევარი არასოდეს მაქვს.

-მართალია, გემოვნებაზე არ დაობენ, ყველას ინდივიდუალური სტილი აქვს ან ცდილობს, რომ თვითონ შექმნას ნაქსოვები თავისი ხასიათის მიხედვით. ძირითადად რა კატეგორიებზეა მოთხოვნა? არის ნაქსოვები, ნაქარგები თუ ორივე თანაბრად?

ბევრჯერ მქონია შემთხვევა, რომ მოსულან საკუთარი იდეით, მაგრამ ამავედროულად უთხოვიათ, რომ მსგავსი

სტილი არ გამემოვრებინა. როცა ვქარგავ და ვქმნი, ისეთ ფასებზეა საუბარი, რომ ადგილობრივად ნაქარგის გაყიდვა არ ღირს. რაღაც პატარას რომ მოვქსოვ და მინიმალურ ფასს ვაძებ, იმისიც კი მერიდება. მუნიციპალიტეტს გარეთ უფრო მაღალ ფასებში იყიდება შეკვეთები. პანდემიის პერიოდში ყველგან ვგზავნიდი შეკვეთას, საზღვარგარეთაც კი, მაგ; გერმანიაში. შემკვეთს უცხოეთიდან იმდენად მოეწონა სტილი და ტექსტურა, შალის მიმართ მისი დამოკიდებულებაც კი შეიცვალა და სისარულით მწერდა, რომ მისნაირი სტილი და ფერადი მოსაცემელი არავის ეცვა მის გარემოცვაში. მოთხოვნას რაც შეეხება. არ მეგონა თუ ზაფხულში ნაქსოვებზე შეკვეთა მექნებოდა, მაგრამ პირიქით, ახლა უფრო მოთხოვნადი გახდა. იმიტომ, რომ გასულ სეზონზე ბევრმა ვერ მოასწრო შექმნა და ახლა თადარიგს იჭერენ. რაც მთავარია, ყოველთვის ვცდილობ, რომ ძაფი იყოს ანტიალერგიული, იგივეს ვიყენებთ სათამაშოებზეც. სათამაშოების დეტალებსაც კი არ ვიყენებთ არაეკოლოგიურს, რომ პრობლემა არ შეექმნას ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის მომხმარებელს.

-გაქვთ თუ არა სურვილი და შესაძლებლობა, რომ თქვენი ცოდნა გადასცეთ სხვას და გქონდეთ ამ ხელსაქმის შემსწავლელი კურსი?

ისეთი თაობა მოვიდა, რომ თუ თვითონ არ დაინტერესდნენ, მათ ძალით ვერაფერს გააკეთებინებ. აქვთ უფრო სოციალური სიფრცხილე და ინტერნეტის ინტერესი. თუკი ვინმეს სურვილი ექნება, სიამოვნებით ვასწავლი, დავაკვალიანებ, რჩევებს მივცემ. კომერციული სახე რომც ვერ მისცენ თავიანთ ნამუშევრებს, სიამოვნებას მაინც მიიღებენ მუშაობის პროცესით. ჩემთან რომ არ მოვიდნენ და ელემენტარულად სხვის მიერ შექმნილი და ნასწავლი დავინახო ქუჩაში, ისიც ძალიან გამიხარდება, დავინახავ რომ ვიღაცას აქვს სწავლის სურვილი და არის ამით დაინტერესებული. ხშირად მეგობრებს ერთად მოგიქსოვია, მოგიქარგავს, მიგვიღია და გაგვიზარებია ერთმანეთისთვის რჩევები.

-სამომავლო გეგმებზეც რომ გვესაუბროთ. რას აპირებთ? როგორ გინდათ რომ განავითაროთ თქვენი საქმე? რას ურჩევთ იმ ადამიანებს, ვისაც აქვთ მოტივაცია და უნარები, მაგრამ ვერ ბედავენ ამ საქმით დაკავებას?

მოვიდნენ და და-

ვანყვები (ილიმის). ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით. სამომავლო გეგმები, ისევე და ისევე, ჩემი მეორე შვილის, ეკატერინეს სკოლის დამთავრებას უკავშირდება. რა თქმა უნდა, პარალელურად გავაგრძელებ ქსოვას. როდესაც ორივე შვილი „დაბინავებული“ მეყოლება, სურვილი მაქვს, ხელი შევეწყო ჩვენს მუნიციპალიტეტში არტთერაპიის ოთახის გახსნას, სადაც მუსიკის თანხლებით ქალბატონები დაკავდებიან ხელსაქმით, გამოვლენ სახლიდან თუნდაც რამდენიმე საათით. არიან ადამიანები, რომლებსაც მარტოსულობა აწუხებთ, როგორც ფსიქოლოგთან მიდიან, ისე მოვიდნენ ამ ოთახში და გული გადააყოლონ. არტთერაპიით არეგულირონ თავიანთი ფსიქოლოგიური მდგომარეობა და არა მედიკამენტებით. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სწორედ „ლეგა ღრუბლების“ გადაყრას ვთავაზობ ჩვენი მუნიციპალიტეტის ქალბატონებს მსგავსი კუთხის მოწყობის შემთხვევაში. ვისაც აწუხებს ნევროზი, ვისაც აქვს თავისუფალი დრო, თუნდაც რამდენიმე საათი, რომ გაატაროს იქ, აილოს ძაფის ერთი გორგალი და ორი ჩხირი და თუნდაც ჭიქის დასადები მოქსოვოს, ეს უკვე ნინ გადადგმული ნაბიჯი და მოტივაცია იქნება. თავიდანაა დაწყება ძნელი, თორემ მერე ისე მოეწონებათ, რომ შეიძლება თავი ვეღარ დაანებონ. სიმბოლური საწევრო გადასახადიც რომ იყოს, ვფიქრობ, ესეც საკმარისი იქნება ამ ოთახის ფუნქციონირებისთვის. ეს იდეა პანდემიის პერიოდში დამებადა. შეტყობინებები მომდიოდა, თუ როგორ ვუძღვებდი მსგავს ფსიქოლოგიურ ზენოლას, ყველას ვპასუხობდი, რომ სწორედ ქსოვის თერაპია მემხარებოდა და ეს უკვირდა ხალხს.

ინტერვიუს მარიამის შვილებიც ესწრებოდნენ. რა თქმა უნდა, მათაც ვკითხვებ აზრი დედის საქმიანობაზე, საკუთარ დამოკიდებულებაზე და იმაზე, თუ როგორ უყურებენ ამ საქმიანობას:

ნინო მხარგრძველი: „მინდოდა, რომ ისეთი სამსახური მქონოდა, სადაც მეტი თავისუფალი დრო მექნებოდა. პედაგოგობაც მომწონდა. დედას ასეთმა გატაცებამ და შემდგომ უკვე ამ საქმისადმი პროფესიულმა მიდგომამ, გამიჩინა სურვილი მეც შემექმნა ხელნაკეთი ნივთები. ახლა უკვე საკუთარი ფეისბუქ გვერდი მაქვს, სადაც ხელნაკეთ სათამაშოებს ვყიდი. ზოგს შეკვეთით და ზოგს ჩემი ფანტაზიით. ვფიქრობ, ეს ერთ-ერთი სასიამოვნო და სასარგებლო საქმეა, რაც ადამიანს არამარტო ეკონომიკურად, არამედ ფსიქოლოგიურად ეხმარება.“

ეკატერინე მხარგრძველი: „ეს ხელსაქმე იმითაა კარგი, რომ მთლიანად შენს თავზე ხარ დამოკიდებული. რამდენსაც იმუშავებ, იმის მიხედვით გექნება შემოსავალიც. გარდა ამისა, შენს ინტე-



ნინო ხელნაკეთი სათამაშოები

რესებსაც იკმაყოფილებ და თავისუფალ დროსაც ნაყოფიერად იყენებ. როდესაც გაქვს მუდმივი რეალიზაციის შესაძლებლობა, სტიმულიც მეტი გაქვს. საყვარელ საქმეს აკეთებ, გამოიმუშავებ კიდევ და თავისუფალიც ხარ - სასარგებლო უთანხმდება სასიამოვნოს. გარდა ამისა, ქალებისთვის ხელსაქმე მეტ ფინანსურ დამოუკიდებლობასაც გულისხმობს. ეს კი დღევანდელ ცვალებად გარემოში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.“

გაზეთი „შირაქი“ მივსალმება მსგავს ნამოყვებებს, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას განვითარების მეტ შესაძლებლობას და მოტივაციას გაუჩენს. მივესალმებით ადამიანებს, რომლებსაც აქვთ ნიჭი, უნარი და შესაძლებლობა ემსახურონ საკუთარ საქმეს და მიუძღვნან მათ თავიანთი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი. წარმატებებს ვუსურვებთ ჩვენს რესპონდენტს ყოველ ნამოყვებულ საქმეში და ვეტყვი, რომ ყველაფერს აქვს თავისი შედეგი, ხელოვნებისთვის განუღიებ შრომა უკვალოდ არ იკარგება, რადგან უნდა გვახსოვდეს, რომ „ხელოვნება თავად უკვდავია...“

შუშუნა ყანაშვილი
საბუნა ბენაშვილი



„ისეთი შეგრიდება მქონდა, რომ რეზო ინანიშვილი მწერლობაში მეჭატიყენოდა“...

„20 დეკემბერს დიდი რეზო ინანიშვილის დაბადების დღეს! წელს მწერალს 95 წელი შეუსრულდა და აქტი მომილოცა ეს დღე - მისი სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსში 75 მონაწილეს შორის მეორე ადგილი, საჩუქრები და ფულადი პრემია მივიღე! დავილოდებზე მარტო მივედი. მოვიდი იქიდან, გულზე მქონდა მიხუტებული საჩუქრები და ისეთი შეგრიდება მქონდა, რომ რეზო ინანიშვილი მწერლობაში მეჭატიყენოდა“ - ეს დედოფლისწყაროელი ეკატერინე ფაველინიშვილია. ის დედოფლისწყაროში დაიბადა და გაიზარდა, აქ დაამთავრა საშუალო სკოლა. გაზეთ „შირახის“ რედაქციის ხშირი სტუმარი იყო. მისი მამიდა - თინა ფაველინიშვილი კარგად ახსოვთ დედოფლისწყაროელებს... შემდეგ იყო უმაღლესი სასწავლებელი და გზა ეკლესიისაკენ... მწერლობაში ფეხი მოულოდნელად შედგა. მიიჩნევს, რომ ყველაფერი ღვთის ნებაა. „ნახევრად შემთხვევით, მოვლენების მიხედვით ასმის შედეგად, ორ ლიტერატურულ კონკურსში მივიღე მონაწილეობა. „შემთხვევით“ იმიტომ, რომ მწერლობა არასოდეს მიფიქრია, „ნახევრად“ კი იმიტომ, რომ უფლის გარეშე თმის ღერი არ გვივარდება თავიდან“.

დღეს ის სასულიერო სემინარიისა და აკადემიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტია. 1996 წელს ჩააბარა აკადემიამ და 2001 წელს დაამთავრა, მას შემდეგ მუშაობს სასულიერო აკადემიაში სხვადასხვა თანამდებობაზე. მისი მოთხრობა გასულ წელს რეზო ინანიშვილის პრემიის მფლობელი გახდა და ეკატერინე ფაველინიშვილი წრეებისა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა.

- თქვენ ფიქრობთ, რომ ვაგიმართლათ და სწორი გზა არჩიეთ, აღმოჩნდა აკადემია თქვენთვის და ბევრი ახალგაზრდისთვის ნავსაუფლო? ანა იმიტომ გეკითხებით, რომ თქვენ 90-იანების თაობა ხართ, რომლის ზურგზეც ბევრმა ქართველმა გადაიარა. ბევრმა ვერ გაუძლო ამ რყევებს და შუაზე გადატყდა. ძნატიკვლობა იმას მოიპოვებს სიკვდილი, სირცხვილი და ბევრი განსაცდელი...

- ბავშვობიდან ვწერდი დღიურებს. დღემდე ვინახავ, არაფერი გადამიყრია. და როდესაც ახლა ვეცნობი ჩემს ჩანაწერებს, ვხვდები, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ, ეტაპობრივად მივდიოდი ეკლესიისკენ. ეს 90-იანი წლების გამოხდელი არ იყო ჩემთვის, შესაძლოა, ეს შემდგომში აღმოჩნდა ბუნებრივი თავმჯდომარეობა, მაგრამ საყრდენის ძიება, მინაგანი შფოთი მანამდე მუდმივად მქონდა. ესნაველობი, ვაბარებდი გამოცდებს, მივდიოდი სასულიერო შედეგისაკენ-დიპლომის აღებისკენ, მაგრამ მინაგანი სისავსისა და ეპაყრობის შერწყმება არ მოდიოდა. მერე მივხვდი, რომ მე ანას ვეძებდით-მთავარ საყრდენს სამყაროში. ბავშვობიდან მტკიოდა ჩემი სამშობლოს დაკარგული ტერიტორიები, მესმოდა, რომ ომში და ზარზმა ოდესღაც ჩვენ გვეკუთვნოდა, მაგრამ მისი ნახვა აუხდენელი სურვილების სიის სათავეში იყო. მასსოვს, როგორ მოვიძებნე ენციკლოპედიაში ომის შესახებ ინფორმაცია. ახლაც თვალწინ მიდგას პატარა, შავ-თეთრი ფოტო. მაშინ საზღვრები გახსნილი არ იყო. იმ პერიოდიდან მივდიოდი ეკლესიისკენ. რა თქმა უნდა, ეკლესია ბევრი რამისგან თავდაცვა და თავმჯდომარეობა აღმოჩნდა, ასეა დღესაც. როდესაც უახლოესი ადამიანები დავკარგე, მაშინ უფრო მიხვდი, რომ ეკლესიის, ღმერთის გარეშე ამ ყველაფრის გადატანა ძალიან გამჭირდებოდა. ის არის ყველაზე ძლიერი საყრდენი. როცა მივედი აკადემიაში, მაშინ რწმენის თვალსაზრისით ჩემთვის ძალიან ბევრი სიახლე იყო. ეს ეხებოდა თეორიულ ნაწილსაც. არანაირი რწმენა ჩემთან არ მოიხს, თუ ვინმეა ამი გაიარა.

- ზოგი ამბობს, რომ რწმენამ აუცილებლად გულზე უნდა გაიაროს...

- ვერ გეტყვით. ალბათ, ის ადამიანი უფრო ბედნიერია, ვისთანაც რწმენა გულზე გადის და არა გონებაზე. მე გონებიდან ჩამაქვს გულითან. არის ბიბლიის ის მუსხლები, რომლებიც ჩემთვის ბოლომდე გაუგებარია. ბევრ ადამიანს ვანუხებ კითხვებით, ვცდილობ, ყველა კითხვაზე პასუხი მივიღო. ამბობდნენ, რომ მთავარი საყრდენი ღმერთია, რომ ჯერ ღმერთი უნდა გიყვარდეს და მერე დედა-სულ მიკვირდა და ეს ყველაფერი ჩემთვის უცხო იყო. სულ ვეძებდი, რას ნიშნავს აბსტრაქტული, ტრანსცენდენტული არსების სიყვარული იმაზე მეტად, ვიდრე ნამდვილი დედის სიყვარული. 25 წელი დამჭირდა, მიმეგზო იმისთვის, რას ნიშნავს ყველაზე მეტად გიყვარდეს ღმერთი. თუმცა, იქნებ არც ახლა ვიცი...

- ბავშვობიდან წერდი დღიურებს და ქვეცნობიერად ეზნაღებოდა მწერლობისათვის, მაგრამ როდის დაიბრუნა პირველი მოთხრობა?

- მე ყოველთვის ვწერდი. ვხუმრობდი-ხოლმე კიდევაც, წერას ატანილი ვარ-მეთქი, სულ ფურცლებს დავატარებდი. ეს იყო ფიზიკური

სიყვარული წერის პროცესის მიმართ. მაგრამ, არასოდეს მიფიქრია, რომ მსატერული წერისკენ წავიდოდი. თუმცა, ლექსის წერაც მიცდია, ჩანახატიც დამინერია, მაგრამ სერიოზულად ამ საკითხზე არასდროს მიფიქრია.

შესაძლოა, ეს მოიტანა პანდემიის მოცალობამ. ხომ უნდა გქონდეს იმისი დრო, რომ დავედო და გაანალიზო ის მნიშვნელოვანი მომენტები, რაც შენს ცხოვრებაში მომხდარა. მუდმივ ცაიტნობში, როგორმაც ჩვენ ვცხოვრობთ, ფრაგმენტულად ბევრი ამბავი მასხენდებოდა, მაგრამ ფურცელზე მათი გადატანა არასდროს მიფიქრია. ყველაფერი დაიწყო ფასანაურში. ნავეყვანე ჩემი და მამიდაშვილის ბავშვები. ფასანაურიდან ჩარგალი ჩავედი. იქიდან რომ ვბრუნდებოდი, გადასახვევთან იასხრის სალოცავისკენ მიმავალი გზა მკითხეს. მეც, რა თქმა უნდა, მივასწავლე. ბავშვობიდან ვიცი, რომ ლალი იასხრის სალოცავი მუაფხობია. გზა მივასწავლე, გამოვბრუნდი, მაგრამ ფიქრებმა ნაწიყვანა სალოცავში, ფაშაში, სადაც ბევრჯერ ვარ ნამყოფი. ასე დაიბადა პირველი მოთხრობა „გორნი“. თუმცა, თავიდან ეს მოთხრობად არ ჩამიფიქრებია. ჩავეთავლე, რომ ეს იყო ამბავი, რომელიც ხალხს უნდა სცოდნოდა. მოკლედ, ფასანაურში დავწერე ეს მოთხრობა და ფეისბუქზე დავდე პოსტის სტატუსით. მოვიკითხე ის ქალი და ვთხოვე ჩემს ფეისბუქ მეგობრებს, რომ თუ ვინმეს იწვინებოდა შპონდა ამ ქალბატონის შესახებ, შემხმანებოდნენ. ეს იყო ფეისბუქის პოსტად გათვლილი ამბავი და არა მსატერული ნაწარმოები. თუმცა, ის მალე გასცდა სოციალური ქსელის პოსტის საზღვარს და საკმაოდ დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ამ ამბავმა, ჩარგალმა და ფაშამ ჩემი დიდი გებია გამახსენა, რომელიც ჩვენს ოჯახში ბუნაკურთხეული ადგილი ეჭირა. აღმოჩნდა, რომ ეს მოთხრობაც ნიგშია შეტანილი. თუმცა, მე მათ კლასიკური გაგებით, მოთხრობა ვერ დავარქმეე. ახლა უფრო ვფიქრობ ნამდვილ მწერლობასთან ზიარებას...

- მაინც ვაუას დაუკავშირდა თქვენი წერის დანყების ამბავი...

- ასე მოხდა. ეს იყო ვაუას კურთხევა, ეს იყო მოცალეობა და ბედისწერაც ალბათ. მერე გავაგრძელე ისევ ფეისბუქ პოსტების წერა. გაიმხმარებები არ წყდებოდა. უკვე ფილოლოგიის დიპლომს ვიღებდი და მიჩიქს, რომ ნაწილებისთვის უფრო სერიოზული სახე მიმეცა. მე მწერლობაზე კვლავ არ ვფიქრობდი. ამასობაში ერთი წელიც გავიდა. ზაფხულში ხევსურეთში წავიდი. იქაც ამიტანა წერამ - ხან ვალოდა „მემაროვნე“ გამახსენდა, ხან ჩემი მეზობლები, ეთნიკურად არაქართველები, რომლებიც საცხოვრებლად სხვადასხვა ნავედნენ... ხევსურეთში კი ახალი ამბავი დაიწერა, რეალური და სულსმემძვრელი ისტორიის გამოხდელი. „ბროლის ქალწული“, ასე ჰქვია მოთხრობას, რომელიც ჩემი მულის ტრავმული სიყვარულის ისტორიას უკავშირდება. ეს ამბავი მთელ მდღეა ხვეს ასხივს. ხევსურეთში ყოფნისას, ჩვენს ოჯახში მოვიდა გელა დათაურის ძმა, რომელმაც მოულოდნელად თქვა: „მამაჩემს ის მანდილი დღემდე შენახული აქვს“ ანუ, 16 წლის შეყვარებული გოგონას მანდილი, რომელიც მოულოდნელად კლდეზე გადაიჩეხა და დაიღუპა. ეს კაცი მას შემდეგ დაოჯახდა, 11 შვილი იყოლია, საცხოვრებელიც შეიცვალა, დაბერდა, მაგრამ პატარა ყუთში შენახულ მანდილს მუდამ თან დაატარებდა. ამ მოთხრობაში იმხელა მუსიკა გააჩნა ჩემში, რომ სახლის უკან გადაჭრილი კუნძულები დევნიდა და ერთი ამოსუნთქვით დავწერე „ბროლის ქალწული“, რომელიც კვლავ ფეისბუქზე დავდე. ჩამოვიდი ხევსურეთიდან და მირეკავს ალექსი ქინჭარაულის ქალწული ნათია, რომელიმაც პირდაპირ მოთხრა, რომ ეს მოთხრობა კონკურსზე უნდა გასულიყო. მე თავი შორს დავიჭირე, მაგრამ მან დამარწმუნა, რომ ეს მოთხრობა თარიღზე შემოსაღები ნამდვილად არ იყო.

გადმოვიგზავნე კონკურსის ლიწი. გავცანი პირობებს, მოთხრობა შევამცირე, გადავზავნე მითითებულ მისამართზე და დავეციყე. რამდენიმე თვეში დამიკავშირდნენ და მოთხრეს, რომ მწერლობა სახლში უნდა მიგსულიყავი. მიხვდი, რომ კონკურსის ყოფრის ყურადღების ცენტრში მოხვდი, თუმცა, არანაირ საპროზოდგოს არ ველოდი. ეს იყო ერთი მოთხრობის კონკურსი, რეზო ინანიშვილის სახელობის. 20 დეკემბერს, რეზოს დაბადების დღეზე გაიკეთა ეს პრემია. ჩემი მოთხრობა მეორე ადგილის მფლობელი გახდა. ჩემმა მულებმა არც იცოდნა, რომ კონკურსში ვმონაწილეობდი. სახლში მივედი ამ სიგელით და კედელზე საპატიო ადგილას ჩამოვკიდე. მერე გაიგო, რომ მოთხრობა გავგზავნი.

ამ დროს ფეისბუქმა ამოიგდო კულტურის სამინისტროს კონკურსი, ერთ-ერთი ნომინაცია იყო წლის საკეთესო პროზაული კრებული. პირველმა კონკურსმა გამათამაშა და ვიფიქრე,

რომ ბუდი აქაც მეცადა. არ მიჭირს ნაგებასთან შეგუება ამ ასაკში, თან მესძის, რომ საქართველოში ასე ადვილი არაა, რამე წერო და ყველაზე უკეთესი იყო. მოკლედ, მივიღე მონაწილეობა ამ კონკურსშიც და ფინალისათა სამუელში მოხვდი. პირველ ადგილზე გავიდა არაჩვეულებრივი და უნიჭიერესი ნინო ქადაგიძე, ვულოცავ ვულოთ,

- როგორც ლიტერატურის კრიტიკოსებმა აღნიშნეს, თქვენს მოთხრობებში არის მცდელობა, რომ ისტორიული გმირები აქციოს მსატერული გმირებად, ვნახოთ, როგორ დაიმკვიდრებენ ისინი ადგილს ლიტერატურულ სივრცეში... ეს ნიგნი უკვე მზადა გამოსაცემად, სტამბაშია და ოქტომბრამდე აუცილებლად იხილავს დღის სინათლეს. ნინოს ურქევა „საწითროს მარგალიტები“. რატომ ეს სათაურები?

- ჩვენს დროში გადავასდა ღირებულებები. ამ მოთხრობებში ზნეობრივი მაგალითებია მოყვანილი, რომ ცოტა ხნის წინ ისეთი წინაპრები გვყავდა, რომელთაც შეეძლოთ სიყვარულიც, სამშობლოსთვის და ოჯახისთვის თავგანწირვა... წითლიოვლიში გაბნეული მარგალიტები, ზოგი თუშეთში ნაპოვნი, ზოგი-ფშავეში, ზოგი ხევსურეთსა და კახეთში, ვილაც ქედებში, ყამებში შემხვდრია... ამ მარგალიტებში იგულისხმებთან როგორც ადამიანები, ასევე ამბები და თავად სოფლები. როგორც უკვე გითხარათ, რაც თავი მასსოვს, ვერ. ვერ დღიურებს, ჩანახატებს, ჩემს დაკვირვებებს, მოგონებებს, საინტერესო მოვლენებს და ა.შ. სულ ნაწილებით მაქვს საყვარელი თარი, უფრა, სიფი, მაგრამ ვწერდი მხოლოდ ჩემთვის და არასოდეს მიფიქრია მათი მიტანა მკითხველამდე. პირიქით, ვმალავდი, ვჩქმალავდი, ვკეტავდი სიფებში და ვინმეს რომ წაეკითხა, მეგონა, სულს ამინწნავდა. დრომ თავისი ქნა. გავიდა უსაფუძვლო სირცხვილისა და უადგილო განთილების ეტაპი. გადავვიდე დედების თაობაზე და დავიწყე ფიქრი, რით შემიძლია შევეწირო ჩემს ქვეყანას, მომავალ თაობას, მთელ პლანეტაზე გავფანტული ქართველი ემიგრანტების შვილებს, რომლებიც თანდათან წყდებიან ეროვნულ ფესვებს, რა შემიძლია გავაკეთო მე - ძალიან რიგითმა - ამ ფესვების გასამაგრებლად. ვერაფერს ვაგნებდი.

გასულ წელს, ჩარგლიდან მომავალი, გზად გამვლილის სრულიად უბრალო შეკითხვამ დამაფიქრა ერთ ამბავზე, რომელიც წლების წინ გადამხდა და არასოდეს დამავინყდებია. მიხვდი, რომ ეს უსათუოდ ხმამაღლა უნდა მეთქვა. ალბათ ჩარგლიდან გამოყოლილი განწყობაც თავისსა შერებოდა. იმ საღამოს დავწერე პირველი ამბავი მკითხველისათვის. მას შემდეგ ვწერ მნიშვნელოვან ამბებს, რომლებსაც შევსწრებვარ და ვაქვეყნებ ფეისბუქზე. გამომხმარებებმა გამათამაშა და დამანახა, რომ ასეთი ამბები საინტერესოა ხალხისთვის, ზოგისთვის - უბრალოდ სასიამოვნო საკითხავი, ზოგისთვის - ზნეობრივი მაგალითის მიმცემი. ასე, რაღაცნაირად, თავისთავად მივიღე ამ დღემდე.

მადლობას ვუხვდი რეზო ინანიშვილის სახელობის „ერთი მოთხრობის“ კონკურსის ორგანიზატორს, ქალბატონ თამარ შაიშვილას და ამ დიდ საქმეში მის თითოეულ თანამდგომს, მადლობას ვუხვდი ნათია ქინჭარაულის, ვინც მირჩია ამ კონკურსში მონაწილეობა. რეზო ინანიშვილის სახელთან დაკავშირება ნებისმიერი კუთხით საამაყია, მით უფრო - ლიტერატურული კუთხით. გარწმუნებთ, მე ვიცი ამ ჯილდოს ფასი!

მწერლობაზე პრეტენზია არ მაქვს. მადლობა ღმერთს, იმდენად კი ვიცი მწერლობა, რომ მასზე პრეტენზია ასე ოლად არ მქონდეს. ერთი ნიგნი მწერლობას არ ნიშნავს, არც რამდენიმე მოთხრობის ავტორობა ან რომელიმე ლიტერატურული პრემია. მწერლობა სულ სხვა რამეა, მაგრამ ყველა როგორმაც იწყებს. მე ნამდვილად არ ვიცი, მომავალში რა იქნება, თუ ოდესმე ეს ტიტული დავიმსახურე და ვიფიქრე, რომ მწერლობასთან თანაზარი მართლა ვარ, მაშინ მწერლის ტიტულს მეც შევიფიქრებ. ჯერ ძალიან ადრეა.



ეკატერინე ფაველინიშვილი ბროლის მალწალი

პირიქითა ხევსურეთის სოფელი არდოტი ძაბრიგითაა გადაშლილი. ხალხმრავალი იყო არდოტი გასულ საუკუნეში. წესი სრულდებოდა. საკლავი იკვლებოდა. ლუდი ღულდებოდა. ხუცესი ხუცობდა. თავ-მეთავგობის ამბები ირჩიოდა. უშიშდური დედაკაცები სამრელოში იმნიშნებოდნენ. სიტყვათუნნი იყო ხევსური, სახელ-სირცხვილის გულისთვის სიყვარულზე მიდიოდა. სახლიდან გასულ სტუმარს საკართან სასმისს აწვდიდნენ. ისმებოდა კაიყმთა შესანდობარი, ვინც სოფლის არგავებისა და ქალ-სძლის არნაყვანისთვის დახარჯულა. ცხოვრობდა ხევსური წინაპართა ნასახლარზე, დადიოდა წინაპართა ნაკვალი ბილიკებით, საჯიხვებზე ნადირობდა, უფლიად ცხვარ-ძროხას, თესავდა კარტოხას (1), კრევედა ყოლოსა და შალმავს, ერთი წვავდა მთის კალმასს, გახურებულ სიპებზე აცხობდა მაჭკატებს... კაცები საფიხერში ბჭობდნენ, ქალები მწიქლთნუშარზე (2) იკრიბებოდნენ.

1960 წელს ხევსურეთში იმოგზაურა გერმანელმა როლფ შრადემ, რომელმაც ძალზე საინტერესო ფოტომატანე შემოგვინახა მეტადრე მამინ, როცა ხევსურეთში ფოტოგრაფი საერთოდ არ იყო. უცნაური გრძობაა, როცა უყურებ ახლობელი მოხუცების მანამდე უცნობ ახალგაზრდობას. როლფ შრადეს გადაღებული აქვს არდოტის კაცმრავალი საფიხერო, ხევსურული ტალავარებითა და სატვირთო შემოდებული ტორებით რომ სხედან ხევსურები. კაცი იფიქრებს, ფოტოსთვის პოზიორობენო, მაგრამ უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვით, რომ უცნაურ მონყობლობას ვაკვირებით მისჩერებთან ხანდაზმული ხევსურები, რომელთა უმრავლესობა ფოტოაპარატს ალბათ პირველად ხედავდა. ხევსურული ტალავარიც სტუმრის თხოვნი ჩაუცვამთ მასაინძლებს. ახალგაზრდების გამომეტყველებში ვაკვირებება აღარ იკითხება. ისინი მართლა პოზიორობენ. ცოცრათა თოსო და ვოყოლათ ნიკო (3), ბრიყვა და კოკოტოტო მუქალო... რა ლამაზები ყოვილან, როგორი ლალები... ბრიყვას და ცოცრათ თოსოს დავარცხნილ-დანყობილი ქორები აქვთ, ვოყოლათ ნიკოს და დანარჩენებს კი სოფლის დლაქთან მისვლად დაუგვიანათ და ქერა თავებს ქარი დარეგია... კოკოტოტო მუქალოს ცომიანი ხელების კარგად დაბანა ვეღარ მოუსწრია, მაგრამ ობიექტითან მაინც კეკლუკობს, თუმცა მამაკაცებისთვის მზერა ვერ გაუხსნობრება და მოზომილი ღმობით გვერდზე იყურება. ქალებს ქერა, მოკლე ფარდასავით მუაშუბლზე ჩაველებული ხევსურული „ჩოლკები“ მზერას ვერ უფარავს. ზოგნი ეშმაკურად იღიმან, უფრო ალალები კი ობიექტითან ისე დგანან ხელებმამომებულები, თითქოს ვაკვეთილის მოსაყოლად გაუხსნათ...

1960 წლამდე მატლამდე სამანქანე გზა არ იყო, მხოლოდ საფეხო ბლიკი მოუყვებოდა მდინარე არლუნს. დათიყვანის უღელტეხილიდან გურო-მატლიეგენი არლუნთან ერთად ჩადიოდნენ თავეცე, მლამახელები კი წუბორავანზე გადადიოდნენ ფეხით ან ცხენებით. ბარში „ჯინსების თაობა“ მიდიოდა, აქ კი გულისპირზე ხევსურულად დაქარგული ტალავარი იცვლიდა თაობებს. მუდამ ცალწარბანულ და ქინჭობდაბერილი(4).

ესაუბრა
ნება შიოლაშვილი
/გაგრძელება შემდეგ გვერდზე/

„ბროლის ქალწული“

/დასაწყისი გვ./
 ხევისურის წუთისოფლის ლაგამი მარცხენა ხელით ეჭირა, მარჯვენას კი ხანჯრის ვადასთან ახლოს იგულავდა.
 გაზაფხულზე მდინარეები დიდდებოდა, ნაზამთარალ სავსე ზათით ხდიდა ქვებს და არაღუნე მირეკებოდა. ბარად რომ მოილოდნენ სამზროს, მთა-ჭალებს მერედა უწვეოდნენ ხოლმე ეძებლები, იები და ფურისულები. აქაც ხანმოკლე იყო მათი სტუმრობა. თბათვეში პირიზე ყვავდა, მკათათვეში - კესანე... გაზაფხულზე ხევისური რომ პირველად გადიოდა სახნავად, საგანგებოდ გამოძცხვარ ერბოს ქადაზე სახთელს დაანთებდა, ილოკებდა, ხელის მომართვას და ბარაქან მოსავალს შესთხოვდა და გამჩენს, ქადას ხარის უღელზე გადატყავდა და იბმევდა. საუკუნოვანი გამოცდილებით იცოდა, რომ ზენარის შემწობის გარეშე ხარ-უღის ნალიანდაგარი დაფერდებოდა მინას იოდეს სამკაულად მერეზობა და განამორება გაჭირდებოდა. ხარ-უღელი „ძაბის“ ფერზე გადი-გამოდიოდა, ჯერ ქობას ავილებდა ხსულით, მერე კი ზეით, ცისკენ მიიხვედა. ციკაბო მთებზე მოჭყვავდა მოსავალი. ბოლოგამოლი კაბასავით ჰქონდა შემოცმული მთას ზვად მოხსული მინა... მაგრამ მანამდე ზამთარს უნდა გამკლავებოდნენ, საზავაში უნდა ეფრთხილათ, მთებზე ნაბიჯი უნდა ეზომათ...

არდოცს ზამთრობით შზე თითქმის არ ხედებოდა, ამიტომ სოფელი გაზაფხულამდე კაციან-პირუტყვიანად ბახაში, ზამთრის სადგომზე გადადიოდა. რთული იყო აქ ცხოვრება. „არდოც ღიაკობის ქმა ადვილ არევი“, - ამბობდნენ ძველები. შემოდგომაზე მდინარეები მდორდებოდა და მუხური ხელიდან თავამოყოფილი ქვები ხავსის ფთილებს ნელ-ნელა ისევ იკიდებდნენ, ზამთრის პირს კი ისე გამოიყურებოდნენ, თითქოს თავზე სისვი (5) ქუდები შემოაქსოვსო.

16 წლის იყო ნანა, პირიზხვავით ამოღტილი და მოქილი. გარმონის ხელი(6) იკოდა, სიმღერა უფერავდა. მამამ ქისტეთიდან (7) გარმონი მოუტანა. ისე გაუხარდა, ახლობლის ქორწილიმ აღარ წავიდა, დაკვრით რომ გული ეჯერებინა. თეთრი იყო ნანა, წუშის ქუთუთობებში ჭრული თვალები ესხა მუშად მორი, სივრცისმომცველი მხერით. ისეთი მშვიდი გამოხედვა ჰქონდა, თითქოს რული ეკიდებო. მდორდა ნანა უპიკები რულადანარაგებული გამომტყვლებით, საკარცხულის უმღეროდა, სიყვარულის საკარცხულს, ოცნებაში ყველა ქალწულს რომ ელოდებოდა საღვაც, შემბალე-ბულ ადგილას... დახმარულიც იყო. რაყდენ დაიჭური მუცოში უმზადებდა სადღელოფლო ტახტრეკას.

და-ძებში უფროსი იყო ნანა, დედა-მამას ნამდვილი დაიცვით ედეგ გვერდით. ბროლის თითებში რალა არ გამოხდებოდა. როცა საქმეებს მოითავებდა, მიდებდა ბუხრათან ჩიკას(8) და ტოლის(9) პერანგის ფარას(10) უქარგავდა მამას. „ოჯახის უფროსი არდოცები“, - დაუსათაურებია როლო შრადეს იმედურათ ალოქსას ფოტო. „ოჯახის უფროსს“ ბოხონი ახურავს და ხევისურული ტალავარი აცვია. 14 წლისაც არ იყო ნანა, იმ პერანგის ფარაზე ნაჭერა რომ გაუქვთა მამას.

დეკემბრის იმ დღისას სულ სხვა საქმეს ეპირებოდა, სხვაგან უნდა „ექნა დიაცობი“, მაგრამ მორივე მწყემსებმა ფარა მიატოვეს და ცხვარი ზამთრის ბინაზე გადასაყვანი დარჩა. უფროსებს უფრო სამური საქმე ჰქონდათ. სხვა გზა არ იყო, და-ძებში უფროსი უნდა ნასულყო სამწყვდად. მორილი იყო ნანა, თავდაბრილი, საითაც საქმე ითხოვდა, იქით მიდიოდა. არდოცდენ ბახასკენ ბილიკი ქალაზე გადიოდა, მაგრამ იქ სოფელს თავე ჰქონდა საზამთროდ დაგულეული და ცხვარ-ვაკი თივას გადათელავდა. ამიტომ ცხვარი მალალი მითი უნდა გადასულიყო.

- ახედე, გარსი, ვაჟკაცსაც გაუჭირდება მანდ ძობეა ცხვრისა, - მალალი მთის წვერისკენ გაახედა უმცროსი ძმა ქალაში მიმავალმა გოგომ, შემის ყონდიდან(11) საზვენი ჯოხი გამოართო და წავიდა.

- მთხლა იყიდვო, ნანა, არცაით გამამფორინდა, - უთხრა დედამ დამშვიდობებისას. გოგო უკვე დაფერდებოდა ბილიკზე ჩადიდა, დედის სიტყვები რომ მიუნია. უკან მოიხედა, დედას შეჰლომა და თვალებით უთხრა, - ბავშვი ხომ აღარ ვარო. არადა, ბავშვი იყო... დედას ასეთი რამ მანამდე არასოდეს ეთქვა, რადგან თავადვე გონიერი და „მთხლი“ იყო ნანა, ამ მთა-კლდეებზე იყო გაზრდილი და ყოველი სახიფათო ქვა იცოდა. ვინ იცის, რამ ათქმევინა ეს სიტყვები, რა იგუშანა დედამ, როცა მიდამო მშრალი იყო და საავდრო ღრუბელიც არსად ჩანდა. იქნებ ტანი უგრძობდა ჩასაფრებულ ხიფათს, იქნებ ნინა ღამით ნაბოლარა ბაღლის ტრილოზე ატებვად დაუძიხმა გული?! წელნახვერისა იყო ნიკო, ჯერ ისე თუბუს სწოვდა. იმ დამეს გაბნით ტროდა და ვეღარ დაანწყარეს. დედა და ბერიდდა რომ დაილაღნენ, ნანამ გამოართვა დედას პატარა, გულზე მიიხუტა, გადი-გამოდიოდა და ამოდ ცდილობდა დახე-ნარებას. რომ ვერაფერს გახდა, ბავშვი ისევ დედას მოუყვანა და უთხრა, - დედაო, ბაღლ

რო ტირისო, ისიც იცინაო, რომ მაშინ ვილაკაკვებო...
 მზანი ამინდი იყო. ნანამ დაულოდლად აიარა მალალი მთა. ფეხზე ქალწულები (12) ეცვა. ცა მოულოდნელად ჩამოიქურა, შეიყარა საავდრო ღრუბელი და ბარდა დაიწყო, საშინლად ავივდა და მუადლისას დალამდა. თოვლს დედა და თან ყინავდა. ნანამ ნოტო-ნოტო (13) გამოლი ცხვრის თავმოყრა დაიწყო, რომ მალალი მთიდან ფარა დროულად ჩამოეყვანა. რამდენიმე ცხვარი ციკაბო ფერდზე იყო ჩასული. ნანამ ქალწულები დაიხადა, მთის წვერზე დატოვა, რომ რეზინის ძირები არ დასცურებოდა და წინდანი ფეხით ჩაივდა მათ ამოსაყვანად. არდოცდენ ბახასკენ მიმავალმა დედამ შუახიდას ხევიდან გაიგონა ქალიშვილის ხმა, თხა-ვაკებს რომ უჯავრდებოდა. ნანას დააგვიანდა. მებნდებისას ფარა უმწყემსოდ გადავიდა ბახაში. კაცები მთისკენ გაიქცნენ. ავისმოლოდინი თავდათან გამძაფრდა. ქარის ზუზუნს ყურთასმენა მიჰქონდა და გაუთავებლად ბარდნდა. დეკემბრის მოკლე დღე უფრო დამოკლე. დალამდა. ყოველი მხრიდან ექახოდნენ ნანას და ხმასაც და ექოსაც ქარის ხმა წიქავდა. როცა იმედი მიეზურა, მამას უნატრა, ნება რაყდენს ჰყავდეს ნაცვანილი. ის, რაც სხვა შემთხვევაში მურაცხაყვავდა, მავეთის პირისპირ მდგომს სანატრული გაუხდა. მამამ გადათეთრებულ მთის წვერზე ქალიშვილის ქალწულები აიოვა. მოყინული ციკაბოზე ჩასვლა ვერაინ გახდა, მამის გარდა, ქალიდან კი შუახიდას ხეეს ბენიკა და კიბლეთ ბაბო (14) აუყვებენ. მამა მხოლოდ თოვლით განათებულ უკუხში ეძებდა ქალიშვილს, სანათზე ფიჭვის თვის დრო არ ჰქონია. გარშემო ყველაფერი თეთრი იყო. უცებ სითეთრეზე მრგვალ ლაქას მოჰკრა თვალი. ეს ნანას სახე იყო, ჯერ ისეც თბილი, თოვლის ფანტელებს რომ აღნობდა და ცრემლისხელა საკლდელებად იღვრებოდა. ხევისწყალს ნაპრალობი ნანას მხრებით ჩაეხეცა ქვებმა, ტანი კი მთლად დათოვლილი ჰქონდა. ამქვეყნად აღარ იყო. იქნებ გაიყო კიდევ მამის მისვლა. რახან იქნით ქარსა და ყინებას ჯერ ისეც თბილი იყო, იქნებ სულაც იმ წუთებში მიდიოდა... იქნებ მამა უფრო ადრე მივიდა მასთან, ვიდრე მეგზრნი (15) დაიპურთა ანებაში (16) იყო ნანას ადგილი, მაგრამ მამისახლს ვეღარ ნაუვიდა...

ასე - ციკაბო კლდის ნაპრალობი თავევე ჩაკიდებულმა, მარტომ დასარულა სიციცხლე ბროლის ქალწულმა... ვინ იცის, როგორ შემინდა, როგორი უმნიობა იგრძნო... ვინ იცის, როგორი უნდოდა, დედის ხელისთვის ხელი მოეკიდა, მერე სიმზრისგან თანდათან მოეჭირა და ასე სჭეროდა მანამ, სანამ სიკვდილი ძალას არ გააცლიდა. ან მოასწრო შეძინება? იქნებ ანგელოზები უნდა განჩნდნენ მასთან? იქნებ „ხელთა მათია ზედა აიოპურეს“ და ფეხი ქვისთვისაც არ ნამოუკრავს? იქნებ ანგელოზს ეჭირა მისი ხელი? უდღემამოდ სახლიდან რომ ჯერ არსად გასულიყო, სულ მარტომ მიადგა ორი სამკაროს გამყოფ კარიბჭეს. კარიბჭესთან ფეხზე დაინდა, ქალწულები მთაზე დატოვა და ფეხმძველი მიეხადა მიღმეთს, რათა სულით უმანკო, არც წუთისოფლის მტვრით შეებლალა მარადწული ნავსაყვდილი...

როგორც იქნა, ხეგ-ხეგ ავიდნენ ბაბო და ბენიკაც. მამა თავს დასტრიალებდა თავნერჩქელ ქალიშვილს და პაპროსს ენეროდა. თანდათან მალდებოდა საზვეყო თოვლი. ფიჭვის დრო არ იყო. თუ ზევი ჩამონეზობდა, გაზაფხულამდე ვერცერთს ვეღარ აპოვიდნენ. მამამ უთხრა ბიჭებს, ხელით ვერ ჩაიყვანთ, თქვენც დაიხოცებით, მეტი გზა არაა, ჭალო-საკენ დროულად უნდა დავაცურთითო. თავისი თავის დარდი არ ჰქონდა, იქნებ „მღერადაც უნდა“ სიკვდილი, მაგრამ მეგზობრების ბედი ანუხებდა. ხევისურმა გაყვაცებმა არ აკადრეს ქალწულს უპატრო ფორმით ჩამოყვანა. მერე რა, რომ ნანა უკვე მკვდარი იყო და მეორედ ვეღარ მოკვდებოდა, მერე რა, რომ ყოველ ნამს შეიძლებოდა, თავადაც დასოცილოყენ... „ძე მგელი“ ბარში კიდევ ღმობიერია, სიბერედ მოდის, მთაში მთლად დაუნდობელია, პირდაპირ სიციცხლეზე ნადირობს... ვაუებმა საანდერზო ამბავი ჩაიდინეს. ზევით ბენიკა დადგა, ქვევით - კიბლეთ ბაბო. მამას უთხრეს, მენ ხინ გაგვიძიებ და თოვლი გაგვიკვალყო. აიყვანეს გოგო და თოვას და ქარბუში, უჩინ-უკუნში, ერთმანეთსაც რომ ვეღარ ხედავდნენ, ყინვისგან გასიბულ ციკაბოზე ციმციმ ჩამოიყვანეს. ნანას გზად თმა ეტლებოდა. სიკვდილის ბენვის ხეზე მიმავალ ბაბოს ლეთეს მხევები კოჭებზე სცემდა და მაინც ვერ იტანდა, დაბლა რომ მისთერვდა ქალწულს თმა. სისხლის კოლტებში გაბზულ თმას ხელში კრეფდა და მინას არ აკარებდა. ქალაში მთელი სოფელი დახვდათ. გავიდნენ თუ არა სამშვიდობოს, იქვე ზეგმა და ზათით ამოავსო შუახიდას ხევი... რას გაუგებ წუთისოფელს... ჯერ ამისთანა გოგოს ნავართმევს და მერე წუთით გაგანრებინებს ზეგს...

 მუხლმოკვეთილი ნაწიდა ავისმაცნე ოჯახში დარჩენილ ქალებთან. ნანას ტანსაცმელი მოსთხოვეს დედას. დედამ ტანსაცმლის ალაგი მისანავლა და თოკი ჩამოაბა. ყულფში თავი

ჰქონდა გაყოფილი, წელნახვერის ბალი კალთაზე რომ დაეკიდა და თუბუ მოსთხოვა. დედამ ყულფიდან გადმოხედა პატარას და გონზე მოსვლა დაიწყო. დაფიქრდა, რა ელოდა უსუარას უმისოდ. შეილის სიკვდილმა გააყოფინა თავი ყულფში და ისევე შეილის ხმამ იხსნა ყულფიდან. დედა ხომ ერთდროულად იმდენი ცხოვრებით ცხოვრობს, რამდენიც შეილი ჰყავს...
 გაიყინა და გაქავდა ბუნება. მინა ისე გაკლდედა, საფლავის ამოთხრას ვერ ახერხებდნენ. კუნძები დაალავეს და ცეცხლი ნაუკიდეს, მინა გააღხვეს და ისე ამოთხარეს. დახიუხეზე (17) ხევისურული წესით სიბებით ამოშენებულ აკლდამაში ჩასაყვინეს ბროლის ქალწული, ახლადმოცვლილი რომ ჰქონდა ბოლო სარძევე კბილი. სიფრთხანა კანცევმ ცისფერი ძარღვები ეტყობოდა, ლოყები კი რძემი გარეულ ზროხულს უგავდა თურმე. სიბების ჩარჩო ბროლის ქვებით მორთეს და ვანით თოსომ საფლავს ხის მესერი შემოავლო.

 ვაჟი დანიშნულის თმასაც არ შეხებოდა ჯერ. იქნებ სიციცხლეს დათმობდა, მიცვალებულითან მაინც რომ შეძლებოდა გამომშვიდობება, მაგრამ მთას მკაცრი კანონები ჰქონდა, სასტიკიც კი. ამ სისასტიკეში იხრობოდა ხევისური, რათა მომხდურისა თუ ბუნების თავნებობას იოლად ვერ დაეჯახნა. არათუ ვაჟკაცს, ქალს არ ევატებოდა მიცვალებული მეულის დატოვება. რაყდენმაც ცრემლს გეზი უცვალა და გულისკენ გააბრუნა. და არავინ იცის სამზეოზე, სრულიად არავინ, რა გადაიტანა მან. ვინ იცის, პირიზხვის დანახვაზე რამდენჯერ დასდგომია ნანას სახე თვალწინ, დანთხეზე მტვრე ხნით შეყვინებულს რამდენჯერ უთქვამს სიციცხლეში ვერნათქვამი სათქმელი გულისსნორისთვის, რამდენჯერ გადაუხმენიდა საფლავის სიბების მტვერი და სიბებს შორის რამდენჯერ დაუტახნებია ცალი კესანე...

ხევისურები მიცვალებულის ტალავარს სანოლზე მლიან და მთელ წელიწადს ტრევებენ. რამდენჯერმე იმართება გლოვის რიტუალი - დაკრძალვის დღეებში, ორმოცზე, ახალ წელს, სულთა კრეფასა და წლისთავზე. ნანას ტალავარსაც გლოვობდნენ სხვადასხვა სოფლიდან მოსული ახლობლები. იმ გაზაფხულზე მდინარე აღიდა და მუცოდან არდოცისკენ მიმავალი გზა წაღეკა. ბისოს მითი გადვიდნენ მიცულები.

- მე კი ვემდენი ვანით თოსოსაო, რომ მაგივლია გალავანით, - ტიროდა ბიკოლა.
 - ეგ გინდარის, არ გჭარბავაც, შე ჩემის ობლის გამლევიო,
 ესლა ინივი მინის ქვეშაო, ჩვენ სხოს მავიყვანთ პატარაძლასაო, - მოთქვამდა რაყდენის დედინაცვლი, რომელმაც დედათი ობოლი ბალი გაზარდა. იდეგ ბიჭი თავნაქინდრული ხის აივანზე და ცრემლებს იმშენდავდა. ცრემლსაც განა ყოველთვის ერთი გზა ჰქონდა, განა ყოველთვის ხერხდებოდა მისთვის გეზის შეცვლა... ფეხვე დედობილი სიტყვა ისე უჭრიდა, როგორც ზოგს - ვერც სატევერი. კაცები ერთმანეთს თვალს არდებდნენ. არც რაყდენს სძრასავდა ეყინებ, რადგან ერთან სამარხისნი იყვენენ ვინმე...

სასიმამრომ რაყდენს ქალიშვილის ჭრე-მი მანდლი აჩუქა, სახსოვრად გეონდესო. ნაილო ძვირფასი სახსოვარი ვაჟმა, სატრეფოს თმების სურნელიც რომ არ იცოდა და თავმლიდან ცდილობდა ამ სურნელის ამოყნოსვას...

დრო გადიოდა... გადიოდნენ და გამოდიოდნენ ნანას მშობლები იმ საბედისწერო ნაპრალობი, ვერანაირად ვერ აუფლიდნენ გვერდს. შეხედვდნენ ნანას ტანით ჩამოვლებულ ხავს, ნაჭერივით რომ აწინა შუახიდას ხეეს და ფეხებში მოიცილებოდნენ.

- დედამკვდარო, - ძლივს ამოაცვილებდა დედა სიტყვას ყელში გაჩრილ ბოლმის გორგალს და ნაბიჯი გაუმოუდებოდა.
 - მამამკვდარო, - გაფიქრებდა იმ ადგილას მამა და მუხლს უფრო გამართავდა, ყელთან მომდგარი ბოლმის გორგალი და მოცელი თუხლი რომ არავის შეეძინა. მთა იყო. აქ ვაჟკაცს მეტი ნონა ჰქონდა, ვიდრე იხონდა, აქ ყველასა და ყველაფერს ვაჟკაცის რიდი ჰქონდა, ყელთან მომდგარ ბოლმასა და თვალთან მოგორებულ ცრემლსაც კი...
 - ბერიდდა გაგითავდესო, - ხმამალა იტყოდა ლელა ბებო. წუთისოფლის ლაგამთან ნაჭიდავებს ბოლმის გორგალი აღარ ეჩხრიბებოდა ყელში, მუხლებში კი ძალა ისედაც გამოლოყული ჰქონდა...

ეგეთია წუთისოფელი... თუ ლაგამი მოიფონა, საავდრო ღრუბელსაც წუთებში შეყრის, საზვეყო თოვლსაც საათებში დადებს, მინასაც გააკლდეგებს, რომ ზედ ვინმეს ფეხი დაუცდეს და მერე მესაფლავებების წერაქმაც ვერ უყის ძეგო. შენ რაც გინდა, იოცებე, ახვევ სკივრში საქორნიო ტალავარი... თუ წუთისოფელმა ლაგამი მოიფონა, რამდენიც გინდა, ამზადე შემბალეებული საკარცხული... აქ, ამ კლდეებში ლაგამს ისედაც ძნელად გაუბს წუთისოფელი, იმ დღეს კი შუახიდას ხევი სულ მთლად გაისულფონა...
 ნანა პატარა, უყნინარი გოგო იყო, არა-

ვის ევიბრებოდა, გულს არავის სტკენდა, ნადირისთვის ქვაც არ მოუღერებია, ამხელა კლდე კი უიარალოდ დასერა, უიარალოდ და-ანია სამუდამო იარა... ასეა! უმანკობასთან ყველაფერი მარცხდება, შუახიდას ხევივით ბუმბერაზი ძალაც კი!

გავიდა წლები. გაიზარდა ის უსუარა, დედა რომ დაიხსნა ყულფიდან. ის კაცი მურღვა არდოცელია. რაყდენიც დაქორწინდა, „სხო მაიყვანა პატარაძლი“. თერთმეტი შეილი ყყოლა, ერთმანეთზე უკეთესები, ექვსი ვაჟი და ხუთი ქალი. მის ერთ-ერთ ვაჟს - გელა დაიპურს მთელი საქართველო იცნობს. ერთხელ, 90-იან წლებში რაყდენს მურღვა სტუმრობდა მუცოში. ქადა გატყვეს, ლული დალიეს. ლუდმა გათოვლი ტკივილს თასმები შეხსნა და რაყდენმა წარსული მოიგონა. მერე კი ცოლს გასაძახა, ნანას მანდლი მომეტანო. მურღვამ ამ მანდილის არსებობაც არ იცოდა, თავს ვეღარ მოურია და ტირილი დაიწყო. ტიროდა რაყდენიც, ტიროდა პატარა, გაუხარელ ქალასა და თავის გაუხარელ სიჭაბუკეს, გაყინული სიბების აკლდამაში ერთად რომ გამოკეტეს საუკუნოდ. აღარ ცდილობდა ცრემლისთვის გეზის შეცვლას, წლების სიმძიმე პატობდა გრძობების მოხალავებას. მურღვამ სთხოვა რაყდენს, მანდლი მარეჭო, მაგრამ მუცოელმა უარი ჰკადრა სტუმრის, ეს მანდლი ჩემთან ერთად უნდა დამარხოსო. თინამ კი, რაყდენის მეუღლემ, ნაილო და ისევე რულუნებით მიენახა. თავადაც უფრთხილდებოდა, რადგან ღირსეული ქალი იყო, ღირსეული დედა და მეუღლე, იცოდა ნამდვილი ღირებულებების ყადრი... ერთხელ რაყდენს წუმად მუხსნარია თვალი მეუღლისთვის, ხანას მანდლი ამოელო თურმე და ევგრებოდა. ამის მერე უფრო გამძაფრებია სიყვარული და პატივისცემა მის მიმართ.

შუახიდას ხევთან სიბების კოშკი აუგეს ნანას. იმ კოშკს ყველაზე ხშირად ის უსუარა ძმა ხედავს, იმ ღამეს გაბნით რომ ტიროდა. იქნებ ბაღალური უცოდებლობით ვერეტდა ბოროტის განზრახვის და ცოცხლად გამოიტარა გოგო?! ვინ იცის?! დედა და მამა აღარ არიან ამქვეყნად. ახლა მურღვა გადის და გამოდის იმ საბედისწერო ხევთან. მურღვას ნანა არ ახსოვს, არც ის ახსოვს, რა ატრებდა იმ ღამეს. მურღვა რითმებით ლაპარაკობს და ერთხელ, შუახიდასთან ნანასაც რითმებით აქძობას:

„დაშლილია, მამამკვდარო, ჩვენი სახლი, ჩვენს ნასახლარს გულზე ხავსი მოსდებია, კვლავ ზირწუთ (18) მთავადები იმ ავ ქარაფს,

მეყვს ქარი, აბა, მავის რა ბრალია... არ მქნაობნებ ტბათან და აოხი, დაო, ნანო, ვე თვალში ჩამჩრალია. ვიძევ, ვეღარ გხელავ, მინათ ვეფერები, მენი მკვლელი შუახიდას ნაპრალობა...“

57 წელი გავიდა... მურღვა სათუთად ინახავს ბროლის თითებში მოქარაგულ პერანგს, როგორც მამისეული კერის დიდ საგანძურს. მურღვათ ქვ-ციხიდან ნანას საფლავი თეთრი ბროლის ჩარჩოში ჩასაბულ ფოტოს ჰგავს.

57 წელია, მიღმანების ღემადე (19) კრძალვით ელამუნება ბროლის ქალწულის საფლავის ბროლზე... 57 წელია, რაყდენს დაიპურს პატარა ყუთში სიმინდესავით უსვენია ბროლის ყელთან ნაკვანძი მანდლი... და დგას პატარა ყუთი სამზეოზე, როგორც უსახლვო სიყვარულის დიდი საკარცხული...

-
1. ხეეს კარტოფლიო.
 2. მქეფოთუნურა - ზამთარში საღამობით სოფლის ქალები თავთავიანი საჩეჩლებით იკრებოდნენ ერთ ოჯახში და დიასახლისს ეხმარებოდნენ სართავი მატყლის დაჩეჩავში, მერე - სხვა ოჯახში იკრებოდნენ, მერე - კიდევ სხვაგან და ა. შ. ასეთი საღამოებს მქეფოთუნურა ერქვა.
 3. ორივე ახლახან გარდაიცვალა.
 4. ქინჭი (ხეეს.) - ნესტო.
 5. ხეეს. - მწვანე.
 6. ხევისური არ იტყვის, გარმონს უკრავსო, გარმონის ხელი იცისო.
 7. ანე მონისენებდნენ ხევისურები ჩეჩნეთს.
 8. სამეფნა სკამი ხისა.
 9. ტოლი (ხეეს.) - შლისი უხეში ქსოვილი.
 10. ფარავი (ხეეს.) - გულისპირი.
 11. ყონდი (ხეეს.) - დაჭრილი და ერთმანეთზე დაწყობილი შება.
 12. რეზინის ფეხსაცმელი.
 13. ნოტო - ფარის ერთი ნაწილი.
 14. ბაბო კაცის სახელია ხევისურეთში.
 15. მიცვალებულები, ვინც საიქიმო ეგებება ახალ მიცვალებულს.
 16. ერთად თავმოყრილი ერთი გვარის სულები საიქიმო.
 17. სასალოო არდოცბი.
 18. ზირწუ (ხეეს.) - ხმამალალი, შემადრწუნებული ტირილი.
 19. მთიდან მონაბერი ქარი.

კიდევ ერთი ჩემპიონი

ლაშა ბექაურის მსგავსად დედოფლისწყაროს კიდევ ერთი ძალზე წარმატებული ძიუდოისტი ჰყავს, რომელსაც „შირაჟის“ მკითხველი ჯერ არ იცნობს. არადა, 19 წლის სამთაწაროელი ბიორბი სარდალაშვილი, ევროპის ძიუდოს ფედერაციამ, 2021 წლის ამომავალ ვარსკვლავად დაასახელა. ეს კი ევროპის მხრიდან მისი შესაძლებლობების აღიარებაა. შარშან ის ახალგაზრდებს შორის მსოფლიო ჩემპიონი გახდა.

ასაკის მიუხედავად, მისი წარმატებების ნუსხა უკვე შთაბეჭდავია: მსოფლიო ჩემპიონი (იტალია 2021); ასევე მსოფლიო ვიცე-ჩემპიონი; ევროპის ვიცე-ჩემპიონი; ევროპის თასის სამგზის ჩემპიონი; გრან სლემის ვერცხლის პრიზიორი უფროსებში; გრან პრის ბრინჯაოს პრიზიორი უფროსებში;

ბში; ორგზის საქართველოს ჩემპიონი. გასულ კვირას გიორგი სოფელ მირზახანს ეწვია და სოფელში მოქმედი დედათა მონასტერი მოილოცა.

ბიორბი სარდალაშვილი: „დედაოებს ჰქონდათ ჩემი გაცნობის სურვილი და ჩემმა მოძღვარმა ნამიყვანა. კმაყოფილი დავბრუნდი. სამთაწაროს წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის წინამძღოლს მამა იაკობს, როგორც ნამდვილ მზრუნველ მამას ისე დავასახიათებ. წლების წინ როცა ის ჩვენს სოფელში გადმოვიდა, ყველას თავი შეაყვარა. სიტყვებით ვერ გადმოვცემ, იმდენად სასიამოვნო ადამიანია ყველა თვისებით. ზაფხულობით, როცა სამთაწაროში ჩავდიოდი, სულ მქონდა მასთან შეხება. ჩემი მამიდაშვილი კახა მამულაშვილი სტიქაროსანია და მას დავყავდი ხოლმე მამა იაკობთან. 2016 წელს ზაფხულში მამომ კვლიების მშენებლობა და მონასტრის რემონტი დაიწყო, მე და ჩემი მამიდაშვილი მთელი ზაფხული ფიზიკურად ვეხმარებოდით. ამ დროს ძალიან დავასლოვდი და მეც სტიქაროსანი გავხდი.“

– მიუხედავად იმისა, რომ აქ აღარ ცხოვრობ, მაინც განსაკუთრებული დამოკიდებულება გაქვს დედოფლისწყაროსთან...

– ძალიან მიყვარს სამთაწარო. როდესაც საცხოვრებლად ქალაქში გადავედი, ვერ ვხვდებოდი რა ხდებოდა და სულ ვტიროდი. სოფელში მინდოდა ბებიებთან, მათთან ვიყავი მიჩვეული და დღევანდელი, სანამ სოფელში ჩამოვიდოდი. ახლაც როცა აქ ჩამოვიდვარ, ბედნიერი ვარ, რადგან ყველას ვუ-

ყვარვარ. სოფელში ძალიან უხარიათ ჩემი წარმატება, ეს კი სასიამოვნო განცდაა. მინდა, მთელმა მსოფლიომ იცოდეს სამთაწარო და ყველაფერს გავაკეთებ, რომ ასეც მოხდეს. ცხადია, თავს სამთაწაროელად მივიჩნევ და ყველგან ხაზგასმით ვამბობ, რომ სამთაწაროელი ვარ... ბებია მუდმივად სამთაწაროში ცხოვრობს და როცა თავისუფალ დროს ვნახავ, ყოველთვის აქეთ მომიწევს გული. შობას, აღდგომას, ახალ წელს და დღესასწაულებს აუცილებლად აქ ვატარებ. ჩემი ორივე ბებია საინგილოდანაა, ჰერეთში დეიდაჩემთან გადავდივართ ხოლმე.

– როგორ დაინტერესდი სპორტით, როგორი იყო პირველი ნაბიჯები ძიუდოში?

– ბავშვობიდან მოუსვენარი ვიყავი, სოფელში სულ სადღაც ვიყავი და რაღაცას ვაკეთებდი. ამიტომ, მამაჩემი მეუბნებოდა ძიუდოზე უნდა გატარო. სულ ეს მესმოდა და ტვინში ჩამიჯდა, რომ ძიუდოზე უნდა მეყო. 7 წლის ასაკში როცა შემიყვანეს, ძალიან მომეწონა, მალე გამიჩნდა ინტერესი. შემდეგ პირველი მედალი ავიღე და სიხარულისგან დაფერინავედი. ბავშვური ფიქრები ყოველთვის მედლის მოპოვებისკენ იყო მიმართული, ამიტომაც ეს დიდი სტიმული აღმოჩნდა ჩემთვის.

– ვიცის, რომ ლაშა ბექაურთან მეგობრობ, როგორ გაიცანი?

– ერთ დარბაზში ვვარჯიშობთ, ერთი მწვრთნელი გვყავს და ძალიან ახლოს ვართ. თითქმის ყოველდღიური შეხება გვაქვს ერთმანეთთან და მხოლოდ სპორტით არ შემოვიფარგლებით. ეს მეგობრობაზე მეტია. 2016 წელს, როცა საეარჯიშოდ თბილისში გადავედი და მათთან მოვხვდი, ლაშასთან მალე დავმეგობრდი, რადგან მეზობელი სოფლებიდან ვართ.

– რამდენიმე თვის წინ ბულგარეთის დედაქალაქ ოფისში პრესტიჟულ ცერემონიაზე საკმაოდ კარგ ნომინაციაში დაგასახელეს. რა განცდაა ეს?

– რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როცა ევროპა ძიუდოს „2021 წლის ამომავალ ვარსკვლავს“ გინოდებს. არ ველოდი ამ ნოდებას. შევეცდები ასევე გავაგრძელო და მომავალშიც ყველას დავუმტკიცო, რომ



მეტი შემიძლია. ეს სიხარული კვარცხლბეგზე დგომას ვერ შეედრება, იქ სხვა განცდებია, როცა გამარჯვების ნიშნად შენი ქვეყნის ჰიმნი უღერს. შევეცდები ჩემი ტიტულები დავიცვა და მეორედ გავხდე მსოფლიო ჩემპიონი. სერიოზულად ვეზადები მსოფლიო ჩემპიონატისთვის. უახლოესი მიზანი ესაა და შემდეგ წლის ბოლოს დიდებში შემავაშვებელი ტურნირი, ანუ მასტერსი იქნება, სადაც რეიტინგის მიხედვით 36 სპორტსმენი მონაწილეობს, მათ შორის ვარ მეც და ვეცდები გავიმარჯვო. ძირითადად მარცხენა მხარეს ვჭიკაობ და ვცდილობ, ორივე მხარე თანაბრად გამოვიყენო და ამაზე ვმუშაობ. ძიუდომ უკვე მასწავლა ადამიანობა, დისციპლინა, ერთმანეთის პატივისცემა.

– მსოფლიო ჩემპიონის ემოციები როგორი იყო?

– იმ დღეს ვერ გავაცნობიერე, გააზრება გამიჭირდა, ვერ გავიგე რა მოხდა. მეორე დღეს რომ გავიღვიძე, შემდეგ ვიგრძენი. 2017 წლიდან ვამბობდი მსოფლიო ჩემპიონი უნდა გავხდე-მეთქი და ეს ოცნება ამიხდა.

– უახლოესი მიზნები?

– პროგრამა მინიმუმია 2024 წლის პარიზის ოლიმპიადაზე წასვლა და იქ მსოფლიოს გაკეთება. მინდა ძიუდოს ჩემი სახელი დავუტვიფო როგორც ლეგენდა და ამისათვის ყველაფერს გავაკეთებ.

ილია მარტყოფლიშვილი



მირზახანი

„გიორგის წარმატებებს ვუსურვებთ! ჩვენს მონასტერს ბევრი მეგობარი ჰყავს, ამიტომ უამრავი მომლოცველი და სტუმარი მოდის. მადლობა ყველას, ვინც გვაფასებს და მირზახანში მობრძანდება.“ – დედა ნინო.

ულოცავენ!
მარინა ხარაშვილს! ნანული ნაბროშვილს!
სარო მარტიაშვილს!

ჩვენი ასოციაციის აქტიურ წევრებს მთელი სულითა და გულით გილოცავთ დედოფლისწყაროს საპატიო მოქალაქეობას!

საუკეთესო სურვილებით და პატივისცემით,
 დედოფლისწყაროს ილია ჭავჭავაძის მნიშვნელოვანთა ასოციაცია.

გასული წლის შემოდგომაზე კოვიდ-19 აღმომაჩნდა. ჯერ საოჯახო იზოლაციის რეჟიმში ვიყავი, მერე საავადმყოფოში გადასაყვანი გავხდი. მაშინ ჩვენს საავადმყოფოში კოვიდგანყოფილება არ იყო და მეზობელი ქალაქის საავადმყოფოში მოვხვდი. ნორმალური პირობები იყო, მიმკურნალეს და გამოემჯობინდი კიდეც. ჩემი ოჯახი გაზეთ „შირაჟის“ ერთგული ხელმოწერილია და აქტიურადაც ვკითხულობთ. მის ფურცლებზე არაერთხელ გვინახავს მადლობის წერილები ჩვენი საავადმყოფოს მენეჯერსონალის მისამართით. და აი, სულ ცოტა ხნის წინ, ისევე ავად გავხდი – ახლა ომობრონი შემხვდა. ჩვენს საავადმყოფოში რამდენიმე დღის გატარება მომიხია და დავრწმუნდი, რომ მართლაც გამორჩეული მედიკოსები გვყოლია. იდეალური სისუფთავე, მოვლა-პატრონობა, პროფესიონალური მკურნალობა ჩვეულებრივი მოვლენაა. ახლა უკვე სახლში ვარ და არ შემიძლია, მადლობა არ ვუთხრა რეგიონული ჯანდაცვის დედოფლისწყაროს ცენტრის დირექტორს **სათუნა აგლაძეს**, ექიმებს: **იამზე ბალაშვილს**, **ია უსუნაშვილს**, **ეკა მანგაძეს**, ექთნებს: **ნინო ქააძეს**, **მანანა მანგოშვილს**, **ეთერ ნატროშვილს**, **ფენია ადუაშვილს**, **ლალი ხატიაშვილს**, **ნონა ბოჭორიშვილს** იმ მზრუნველობისთვის, რასაც ისინი იჩენენ ყველა ავადმყოფის მიმართ. ჯანმრთელობას და სიკეთეს ვუსურვებ თითოეულ მათგანს ჩვენს საიმედოდ, მაღლობა, დიდი მადლობა მათ.

შალვა (ინფორმ) გომოჩიშვილი, დედოფლისწყარო.

სიასლე ჩვენს ქალაქში

დედოფლისწყაროში, ჰერეთის (ყოფილი სტალინის) ქუჩა N81-ში, საჯარო რეესტრის ყოფილი ოფისის მოპირდაპირედ, გაიხსნა კოსმეტიკური კაბინეტი – „**ნონას სტუდიო**“. თქვენ მოგემსახურებათ მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტი ნონა საბიაშვილი, თექვსმეტწლიანი კოსმეტოლოგის გამოცდილებით და ხუთწლიანი ლაზერო-თერაპევტის სტაჟით. ქალბატონმა ნონამ სულ ახლახანს გაიარა სტაჟირება გერმანიაში, ბოლო თაობის საჭირო აპარატურაც შეიძინა და სანიტარულ-ჰიგიენური ყველა ნორმის დაცვით გახსნა სტუდიო. აქ, ყველაზე სრულყოფილი სოპრანო-ტიტანიუმის სამსხივიანი აპარატით, რომელშიც გაერთიანებულია სამი სხივი - ალექსანდრიტი, დიოდი და ნეოდიმუმი, ხდება თმის სამუდამო მოცილება. შეგიძლიათ ჩაიტაროთ სახის ჰიდრომენდა, ღრმა და ზედაპირული ნმენდა, რომელიც გაგიუმჯობესებთ კანის ფერს, უზრუნველყოფს კანის ღრმა დატენიანებას და აღადგენს კანის ელასტიურობას. ასევე ტარდება წარბის კორექცია, წარბის და წამწამის ლამინირება. შეგიძლიათ შეიძინოთ სახის კრემები და ჰიგიენური მოვლის სხვადასხვა საშუალება, როგორც პრემიუმხარისხის, ასევე კოსმეტოლოგის მიერ დამზადებული. ფასები ხელმისაწვდომია.

დარეკეთ: 598 29 26 20; ნონა საბიაშვილი

ამინდი

| | | | | | | | |
|------------------------------|--------------------------------|-------------------------------|--------------------------------|-------------------------------|-----------------------------|---------------------------|-------------|
| ორშაბათი 29.08 დღე 31° | სამშაბათი 30.08 ღამე 19° | ოთხშაბათი 31.08 დღე 33° | ხუთშაბათი 01.09 ღამე 20° | პარასკევი 02.09 დღე 33° | შაბათი 03.09 ღამე 21° | კვირა 04.09 დღე 32° | ღამე 17° |
|------------------------------|--------------------------------|-------------------------------|--------------------------------|-------------------------------|-----------------------------|---------------------------|-------------|

გამომცემელი შპს „შირაჟი“
 დირექტორი ინგა შიოლაშვილი
 რედაქტორი **ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი**
 წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს ავებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: **ქუშუშნა ჭანრაშვილი**, ილია მარტყოფლიშვილი (ჟურნალისტიკა); **სამუშა პანაშვილი** (კორექტორი); **ქალა ხარაშვილი** (სტილისტი-მწიგნობარი); **ნათია პოლაშვილი** (ბუღალტერი); **ნინო პანაშვილი** (ოფის-მენეჯერი); **მზინა ქანაძე** (საქმის მწარმოებელი).
 გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაჟის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
 ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართი: ქალაქ დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 22-85; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-09-24-65 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.